პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

№ 3 (1432), პარასკევი, 15 იანვარი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | „ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО"—ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსეულად ავსახოთ საბჭოთა ხალხის საქმეების სიდიადე

**კომუნიზმის** მშენებლობის პერიოდში, როცა განსაკუთრებით სრულად იფურჩქნება საზოგადოების სულიერი ძალები, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხატვრული შემოქმედება. მიმდინარეობს საბჭოთა ხელოვნების ესთეტიკური არსენალის განახლებისა და გამდიდრების პროცესი, მტკიცდება მისი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება აფართოებს სამყაროს მხატვრული შეცნობის საზღვრებს, ქმნის ადამიანზე ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ახალ შესაძლებლობებს.

შემოქმედებითი მუშაკები ეძიებენ ახალ შეხვედრებს მაყურებლებთან, მსმენელებთან, მკითხველებთან, ისწრაფვიან ასეთ ურთიერთობაში ჰპოვონ თავიანთი იდეურ-ესთეტიკური პრინციპების დადასტურება, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახლის ძიების მიმართულება შეაჯერონ თანამედროვეობის მოთხოვნებთან.

რუსეთის ფედერაციის ათ ზონაში გაიმართა თემატური მხატვრული გამოფენები, რომლებმაც მშრომელთა ფრიად დიდი ინტერესი გამოიწვია სახვითი ხელოვნებისადმი. ახლა გაჩაღებულია თეატრალური და მუსიკალური სეზონი. კინემატოგრაფში, თეატრში, მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში დამსახურებული ოსტატების გვერდით სულ უფრო საინტერესოდ და მნიშვნელოვნად გვიჩვენებენ თავს ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკები. მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა სულ უფრო დაჟინებით ესწრაფვის თანამედროვე სინამდვილის არსებითი პრობლემების შეცნობას.

ახლო მომავალში გაიმართება რუსეთის ფედერაციის მწერლებისა და მხატვრების, კინემატოგრაფიის მუშაკების შემოქმედებითი კავშირების ყრილობები. მზადდება მხატვრული გამოფენა „საბჭოთა რუსეთი", სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალი. ლიტერატურა და ხელოვნება ღირსეულად უნდა შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

სოციალისტური ხელოვნების განვითარება მუდამ აყენებს ახალ საკითხებს, მოითხოვს უაღრესად დაძაბულ ყურადღებას, დაკვირვებულ პარტიულ მიდგომას, გაბედულ გადაწყვეტილებებს.

სოციალისტური ხელოვნების განვითარების ლენინური ხაზი, თანამედროვე ეტაპის მისი ამოცანები შემუშავებულია კოლექტიურად, ისინი ჩამოყალიბებულია სკკპ პროგრამაში, პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1963 წ.) პლენუმის რეზოლუციაში.

საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ფართო აღიარება მოიპოვეს თავიანთი რევოლუციურობით, სოციალისტური ჰუმანიზმის იდეებით, ბოროტებისა და ძალადობის სამყაროსადმი შეურიგებლობით, მაღალი მხატვრულობით, მსოფლიო კულტურის საუკეთესო ტრადიციების განვითარებით. ჩვენი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინოსა და თეატრის მოღვაწეების უმრავლესობის შემოქმედება წლითიწლობით მდიდრდება ახალი სოციალური და ესთეტიკური გამოცდილებით, ასახავს საბჭოთა ადამიანის კულტურის მზარდ დონეს. თვით ცხოვრება ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში მხატვრული შემოქმედების განვითარების გზის ნაყოფიერებას. **„ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში,**—ნათქვამია სკკპ პროგრამაში,—**მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლას".**

ჩვენი ხელოვნება დამკვიდრდა როგორც ცხოვრების სიმართლის ხელოვნება, და ამიტომ იგი თავისი არსით ოპტიმისტურია.

საბჭოთა ხელოვნება ასახავს ცხოვრებას მთელი მისი სისრულით, ბრძოლაში და სიძნელეთა დაძლევაში, სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიურობაში და გამარჯვებათა სიხარულში, მწვავე კონფლიქტებსა და დრამატულ სიტუაციებში. ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გზისა და დღევანდელი ცხოვრების მოვლენათა გააზრებით საბჭოთა ხელოვანი გადაგვიშლის მათ ისტორიულ პერსპექტივაში. ეს შესაძლებელს ხდის ასახოს მხატვრულ შემოქმედებაში საზოგადოებრივი განვითარების წამყვანი ტენდენციები, ასახოს კომუნიზმის მშენებლობის პათოსი და ჩვენი თანამედროვის გმირული ხასიათი. ეს შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს მთელი სიმდიდრე ადამიანის პიროვნებისა, რომელიც ჩამოყალიბებულია სოციალისტური სინამდვილით, მრავალფეროვნება ფორმებისა, რომლებითაც იჩენს თავს საბჭოთა ადამიანის, ახალი ცხოვრების შემოქმედისა და მშენებლის საზოგადოებრივი აქტივობა. ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების გამოცდილება კვლავ და კვლავ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდია დადებითი მაგალითის ზემოქმედების ძალა ადამიანთა იდეური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის.

მხატვრული შემოქმედების პარტიულობა და ხალხურობა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების განუყოფელი ნიშნებია. პარტიული და ხალხურია ის ხელოვნება, რომელიც იქმნება ხალხისათვის, გამოხატავს მის ფიქრებსა და მისწრაფებებს, ეხმარება ადამიანებს უფრო სრულად და ღრმად შეიცნონ თავიანთი თავი და თავიანთი დრო. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების საგანძურში ცოტა როდია ისეთი ნაწარმოებები, რომლებმაც ხალხის სულიერი ცხოვრება გაამდიდრეს. მივმართავთ რა მათ დღეს, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ ნიჭიერმა და სიმართლის შემცველმა ნაწარმოებებმა გაუძლეს დროის მიერ შემოწმებას, მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც შთაგონებულია კომუნისტური იდეალებით და ემსახურება ხალხს და არა ცალკეულ სნობებსა და „დამფასებლებს", იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც აზრისა და გრძნობის მძლავრი მუხტია, შესწევთ უნარი აღაფრთოვანონ ადამიანი გმირობისათვის.

ასეთად შევიდნენ ხალხის სულიერ ცხოვრებაში ჩვენი რევოლუციური ეპოქის ხელოვნების საუკეთესო ქმნილებანი.

სოციალიზმის პირობებში შეძენილია ეროვნული კულტურების განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების მდიდარი გამოცდილება. სოციალისტური ხელოვნება იქმნება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა მხატვრული ინტელიგენციის ძალღონით, იგი მრავალეროვნული და ინტერნაციონალურია, მდიდრდება საბჭოთა კავშირის ხალხთა თვითეული ეროვნული კულტურის საუკეთესო ტრადიციებით, მსოფლიოს ყველა ხალხთა პროგრესული ხელოვნების მიღწევებით, ილაშქრებს ეროვნული შეზღუდულობისა და განსაკუთრებულობის ნაშთების წინააღმდეგ, ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

წარსულის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციების განვითარება საბჭოთა ხელოვნებაში ორგანულად შეხამებულია ნოვატორულ ძიებასთან, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამდიდრებასთან. მაგრამ ამას საერთო არა აქვს რა იმ მოვლენების გაცოცხლებისა და პროგრესულად გასაღების ცდებთან, რომლებიც წარმოადგენენ გადახვევას რეალიზმისაგან, რომლებსაც ხელოვნება მიჰყავთ ფორმალიზმისაკენ, ესთეტობისაკენ, უიდეობისაკენ. წვლილი, რომელიც მსოფლიო კულტურაში შეიტანა სოციალიზმის ხელოვნებამ და კვლავ შეაქვს, დაკავშირებულია იდეურ-მხატვრული კონცეპციების პრინციპულ სიახლესთან, ხელოვნების სხვადასხვა სახეებსა და ჟანრებში სოციალისტური საზოგადოების ადამიანის ხასიათისა და სულიერი სახის ცხადყოფასთან.

საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარება მოითხოვს აქტიურ ჩარევას ცხოვრებაში, მხატვრული გამომსახველობის ახალი რეალისტური გზებისა და ფორმების, ახალი საშუალებების განუწყვეტელ ძიებას.

მხარს უჭერს რა ჭეშმარიტ ნოვატორობასა და შემოქმედებით შემართებას სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, საბჭოთა საზოგადოებრიობა მოელის შთაგონებულ ნაწარმოებებს ჩვენი თანამედროვეობის შესახებ. ჩვენი ხელოვნებისათვის თანაბრად უცხო უნდა იყოს როგორც დაბნეულობა ცხოვრების სირთულეთა წინაშე, მუქი საღებავების გაძლიერება, ისე ბაქიობა, ობივატელური თვითკმაყოფილება, ხატვა იდილიური სურათებისა, რომლებიც ცხოვრებას მხოლოდ ვარდისფრად გვიჩვენებენ. საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში ნამდვილი წვლილი შეიძლება გახდნენ მხოლოდ ის ნაწარმოებნი, სადაც დარწმუნებით, მღელვარედ და მკაფიოდ გადაშლილია შემოქმედებითი, აღმშენებლობითი საწყისი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების თვით არსს, მის სწრაფვას კომუნიზმისაკენ, მხოლოდ ის ნაწარმოებნი, სადაც შეურიგებლად მხილებულია ყოველივე ის, რაც ჩვენს წინსვლას ეღობება.

ახლისათვის, კომუნისტურისათვის ბრძოლაში, ინდივიდუალიზმისა და მეშჩანობის დრომოჭმული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხელოვანს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი პოზიცია—შეტევითი. კომუნიზმის იდეები ის საიმედო კომპასია, რომლითაც საბჭოთა ხელოვანი ამოწმებს და ვარაუდობს დარტყმის მიმართულებასა და ძალას ბრძოლაში.

სოციალისტური მხატვრული კულტურის განუწყვეტელი განვითარება განუყოფლად დაკავშირებულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლასთან. იმპერიალისტური რეაქცია კომუნიზმის წინააღმდეგ ეწევა იდეოლოგიურ დივერსიას, რომელიც ერთი წუთითაც არ წყდება. ჩვენ არა გვაქვს იდეოლოგიურ ბრძოლაში თუნდაც ოდნავი შესვენების უფლება. არ არის და არც შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა ნათელი მომავლისაკენ კაცობრიობის განვითარების იდეებსა და რეაქციის იდეებს შორის, რომლებიც მიმართულია წარსულისაკენ და ისწრაფვიან განაიარაღონ ხალხები მათს ბრძოლაში თავისუფლების, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

ჩვენი ხელოვნების თვით ბუნება, მისი იდეურ-ესთეტიკური არსი ეწინააღმდეგება იმ ცდებს, რომ სოციალისტური რეალიზმის პრინციპები გაითქვიფოს ბურჟუაზიული კულტურის კრიზისით წარმოშობილ ფორმალისტურ მიმდინარეობათა ნაკადში, რომლებიც წამლავენ ადამიანის შეგნებას პესიმისტური იდეებით საზოგადოებრივი ურთიერთობის ვითომდა მარადიული ქაოსურობის შესახებ, კაცობრიობის მიერ შექმნილ ჭეშმარიტად მხატვრულ ფასეულობებს უპირისპირებენ მახინჯ „ექსპერიმენტებს", ესთეტურ ფორმათშემოქმედებას. სოციალისტური ხელოვნებისათვის ამდენადვე უცხოა ნატურალიზმი, რომელიც ხელოვნებას სულიერ, იდეურ საწყისს ართმევს.

იმ ხელოვნებისათვის ბრძოლით, რომელიც ხალხს ემსახურება, სოციალისტური ჰუმანიზმის მაღალ იდეებს ამკვიდრებს, გამსჭვალულია მხატვრული ცხოვრების ყველა მხარე. მხატვრული შემოქმედება არ შეიძლება საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდეს, თვით ხელოვნის კერძო საქმე იყოს. ხელოვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება პარტიის, ხალხის საიმედო სულიერი იარაღი, თუ იგი ემსახურება კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეს, უნარი აქვს მონახოს ახლის ყლორტები ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში, თუ იგი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს მათს საკმაოდ ძნელ, მაგრამ სასიხარულო გზაზე კომუნიზმისაკენ.

ამიტომ არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ იმათი პოზიცია, ვინც ხოტბას ასხამს ისეთ მოთხრობებს, ფილმებს, პიესებსა და სურათებს, სადაც ცალმხრივად არის გამოსახული საბჭოთა სინამდვილე, ხოლო ნაკლოვანებათა კრიტიკას ცვლის კრიტიკანობა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ გულგატეხილობა დათესოს. წინ ვერ წავა ის ხელოვნება, რომელიც შეგნებულად ზღუდავს მის მიერ საკვლევ ცხოვრების მოვლენათა წრეს, სჯერდება მისი მხოლოდ ნეგატიური მხარეების გამოხატვას, „ნოვატორულ შემართებად" ასაღებს თავის ბუზღუნს, იმის უნარის უქონლობას, რომ დაინახოს და ასახოს ძირითადი ტენდენციები ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენ განუხრელად უნდა ვიცავდეთ ლენინურ ანდერძს, ვეყრდნობოდეთ სოციალისტური კულტურის შემოქმედებით ძალებს, ვაერთიანებდეთ მათ პარტიულობის, ხალხურობის, რეალიზმის პოზიციებზე, თანმიმდევრულად გამოვდიოდეთ ჩვენი ხელოვნების იდეური სიწმინდისათვის იდეოლოგიის საკითხებში მომთხოვნელობის უქონლობისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული, დოგმატური, რევიზიონისტული ესთეტიკური კონცეპციების გავლენის წინააღმდეგ. საბჭოთა საზოგადოებრიობა უარყოფს იმის ცდებს, რომ რევიზია გაუკეთონ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, შეცვალონ ისინი სხვადასხვა დეკადენტური თეორიებით. მხოლოდ რეალისტური ხელოვნების დიადი სასიცოცხლო ძალის გაუგებლობით შეიძლება აიხსნას ის მისწრაფება, რომ „გაამდიდრონ" იგი მოდერნიზმით.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემოქმედებითი შესაძლებლობანი ამოუწურავია.

იმის გულისათვის, რომ სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის, სხვადასხვა სკოლისა და სტილის საბჭოთა ხელოვნებს შეეძლოთ უფრო სრულად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, გულუხვად მისცენ იგი ხალხს,—ამის გულისათვის უკანასკნელ წლებში სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკა წარმატებით იწმინდებოდა დოგმატურ დამახინჯებათაგან, რომლებიც აფერხებდნენ ხელოვანთა შემოქმედებითს ინიციატივას. განვითარებისა და ძიების შიში, შემოქმედებაზე სუბიექტივისტურ შეხედულებათა თავს მოხვევა, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების არასწორად გაგება, ცხოვრების მხატვრული კვლევის დარგში ძნელი მუშაობის შეცვლა მიწერილობებითა და რეგლამენტაციებით—ყოველივე ეს ეწინააღმდეგება სოციალისტური რეალიზმის მეთოდის თვით სულს, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ლენინურ პრინციპებს.

ჩვენი დროება ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებს ხელოვანს, მის იდეურ პოზიციებს, ესთეტიკურ დონეს, განათლებულობას, ვინაიდან ხელოვნება მასების მხატვრული კულტურის ამაღლების მძლავრი საშუალებაა.

ზოგს დღემდე ჰგონია, რომ რაც უფრო მეტია მხატვრულ ნაწარმოებში მაღალფარდოვანი „აქტუალური" ფრაზები, მით უფრო თანამედროვეა იგი. მაგრამ უნდა განვასხვავებდეთ ჭეშმარიტ პუბლიცისტურობას ლაყბობისაგან. ცხოვრების პარტიული გაგება, კომუნისტური მიზანსწრაფულობა მაშინ ხდება ხელოვნების ფაქტად, როცა ხორცშესხმულია ცოცხალ მხატვრულ სახეებში, როცა ნაწარმოების მთელ ქსოვილს მსჭვალავს. ხელოვნება არსებობს მხოლოდ იდეურობისა და მხატვრულობის ორგანულ ერთიანობაში.

ნამდვილი ხელოვნება სახეთა მხატვრული სიმართლით უნდა გვარწმუნებდეს. მისთვის უცხოა როგორც ესთეტიკური თავშექცევა ფორმის სფეროში, ისე პრიმიტიული დეკლარაციები, როგორც მოსაწყენი ტონების ერთფეროვნება, ისე პომპეზურობა. კომუნიზმის დიადი ხელოვნებისათვის ბრძოლაში მხოლოდ ის ხელოვანი აღმოჩნდება მოწინავე პოზიციებზე, რომლის ნაწარმოებებიც გადაგვიშლიან ხალხის ცხოვრების ყველაზე არსებით მხარეებს მხატვრულად სრულყოფილ სახეებში, რომლებსაც შეუძლიათ აღაგზნონ მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის წარმოსახვა და აზრი, გადაუშალონ ადამიანს ახალი ჰორიზონტები, ღრმად აალელვონ იგი.

მაგრამ არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ ნიჭიერ, მნიშვნელოვან ნაწარმოებთა გვერდით ჩნდება ისეთი თხზულებებიც, რომლებშიც შინაგანი სიცარიელე დაფარულია სხვადასხვანაირი ქლარუნებით. ესტრადიდან, რადიოთი და ტელევიზიით, სამხატვრო გამოფენებზე, პოეტურ კრებულებში მკითხველს, მსმენელს, მაყურებელს ზოგჯერ სთავაზობენ მეტიჩრულ, ხელოსნურ ნახელავს, რაც ნავარაუდევია ნაკლებმომთხოვნი გემოვნებისათვის. ზრუნვა მასების მხატვრული აღზრდისათვის მოითხოვს შეურიგებელ დამოკიდებულებას მეშჩანობისა და უხამსობისადმი ხელოვნებაში.

ბრძოლა ლიტერატურისა და ხელოვნების კომუნისტური პარტიულობისათვის, მათი მოქალაქეობრივი პათოსისა და მაღალი ესთეტიკური კულტურისათვის გულისხმობს კრიტიკული აზრის აქტივობას, თეორიულ სიმწიფეს, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას შემოქმედებით პრაქტიკაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენათა ობიექტურ და კარგად არგუმენტირებულ ანალიზს.

მხატვრული კრიტიკა მხოლოდ მაშინ შეძლებს შეასრულოს თავისი დიდმნიშვნელოვანი შემოქმედებითი ფუნქცია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პროცესში, როცა იგი პრინციპული პარტიული პოზიციებიდან, იდეურ-ესთეტიკური კრიტერიუმების შეუსუსტებლად, შეაფასებს მხატვრული შემოქმედების ყველა მოვლენას და მისცემს მას სწორ ორიენტაციას. და რაც უფრო მაღალი იქნება დისკუსიების თეორიული დონე, რაც უფრო თავისუფალი იქნება ისინი ჯგუფური მიკერძოებისა, გაბრაზებისა და მდარე გემოვნებას აყოლისაგან, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

იმ მხატვრულ ნაწარმოებთა შეფასებაში, რომლებიც იდეური ხასიათის შეცდომებს შეიცავენ, არ შეიძლება პრინციპული დათმობანი და კომპრომისები. იდეათა დავაში საჭიროა პრინციპულობა და ზღვრული სიცხადე. მაგრამ კრიტიკა ვერც იმას დაივიწყებს, რომ მას საქმე აქვს საბჭოთა ხელოვანთან. ამა თუ იმ შემთხვევითს შეცდომებსა და წარუმატებლობაში აუცილებლად როდი უნდა ვეძებდეთ სინამდვილის წინასწარგანზრახულ დამახინჯებას და მით უმეტეს ჩრდილს როდი უნდა ვაყენებდეთ ხელოვანის მთელ შემოქმედებას.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი ხასიათდება პარტიის როგორც ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის სულ უფრო მზარდი როლით.

სოციალური პროცესების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პარტია განსაზღვრავს მხატვრული შემოქმედების განვითარების საერთო მიმართულებას, მის მიზნებს და ამოცანებს; იგი აფასებს ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობას, შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად შედეგებს; თავის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად მას მიაჩნია ხელოვანთა იდეური აღზრდა.

იდეურობისა და ხალხურობისათვის პარტიის ბრძოლა, ჩვენი ხელოვნების რევოლუციური ტრადიციებისათვის მხარდაჭერა, მცდარი მოვლენების კრიტიკა სწორად გაიგეს და მოიწონეს შემოქმედებითმა მუშაკებმა, ვინაიდან ეს ნაკარნახევი იყო ზრუნვით ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი ჭეშმარიტად ნიჭიერი ძალების შეკავშირებისათვის პრინციპულ საფუძველზე. ამასთან ერთად პარტია გამოდის სუბიექტივიზმის, არაკვალიფიციური, ნაჩქარევი შეფასებისა და რჩევის წინააღმდეგ, არგუმენტების ნაცვლად ლანძღვის წინააღმდეგ—ლენინურ პრინციპებთან შეუთავსებელი მოვლენების წინააღმდეგ.

პარტიისათვის უცხოა წინაზრახულობა ხელოვნების მოღვაწეებისადმი მიდგომაში, ზოგისადმი ხელაღებით უნდობლობა ან სხვებისადმი მფარველობითი დამოკიდებულება. იგი ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს აფასებს, უწინარეს ყოვლისა, მათი საქმეების, მათი ნაწარმოებების მიხედვით, კომუნიზმის იდეებისადმი მათი ერთგულების მიხედვით და დაინტერესებულია იმით, რომ თვითეული ნიჭიერი შემოქმედებითი მუშაკი თავისი ნაწარმოებებით ქვეყნის მხატვრულ საუნჯეს ამდიდრებდეს. ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობის ლენინური სტილი გულისხმობს ფრთხილ, მზრუნველ დამოკიდებულებას ტალანტებისადმი.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება საფუძვლად უდევს შემოქმედებითი კავშირების მთელ საქმიანობას. ისინი მოწოდებული არიან პირველხარისხოვან ყურადღებას აქცევდნენ იდეურ-შემოქმედებითს საკითხებს, აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია იმ პირობით, თუ შემდგომ განვამტკიცებთ კოლექტიურ საწყისებს შემოქმედებითი კავშირებისადმი ხელმძღვანელობაში, მოვაწყობთ საქმიან და მიზანდასახულ დისკუსიებს იდეურ-შემოქმედებითი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე. ხომ მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ლიტერატურასა და ხელოვნებაში შემოქმედებითი ძალების ნამდვილი და არაყალბი კონსოლიდაცია.

საზოგადოებრიობა დაინტერესებულია იმით, რომ შემოქმედებითს კავშირებში მუდამ მტკიცდებოდეს ატმოსფერო პრინციპული, ამხანაგური მომთხოვნელობისა, ყოველივე ნიჭიერის, ნოვატორულისადმი მეგობრული მხარდაჭერისა, მუშავდებოდეს იმის უნარი, რომ ფართო აქტივის ძალებით კომპეტენტურად წყდებოდეს დიდმნიშვნელოვანი იდეურ-შემოქმედებითი საკითხები. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეიძლება თავიდან ავიცილოთ იდეური შეცდომები და ჩავარდნები.

პარტია, ხალხი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შთააგონებენ უძღვნიდნენ შემოქმედებას კომუნიზმისათვის, საზოგადოების კეთილდღეობისათვის. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები თავიანთ ნიჭს მოახმარენ ახალ შესანიშნავ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც ღირსეულად ასახავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საქმეთა სიდიადეს.

„პრავდა", 9 იანვარი.

---

## თეატრის ტრადიციული დღე

**გუშინ,** 14 იანვარს ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ქართული თეატრის ტრადიციული დღე, რომელიც სათავეს გამოჩენილი დრამატურგის გიორგი ერისთავის თეატრიდან იღებს. გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გიორგი ერისთავმა აღადგინა ქართული თეატრი, თვისობრივად განავითარა მისი საუკეთესო ტრადიციები. გიორგი ერისთავის დრამატურგიისა და თეატრის კრიტიკული რეალიზმის მოწინავე პრინციპები ჩვენი ეროვნული სასცენო ხელოვნების შემდგომი განვითარების ურყევ საფუძვლად გადაიქცა. იმის შემდეგაც, როცა ეს თეატრი იძულებული გახდა არსებობა შეეწყვიტა, მისი ტრადიციები ცხოველმყოფელ სიცოცხლეს განაგრძობდა, ხალხის შემოქმედებით სულში მან მტკიცე ბინა დაიდო და მძლავრად აღორძინდა სამოცდაათიანი წლების მიწურულში.

ქართული სასცენო ხელოვნების კორიფეები, მისი რევოლუციამდელი უანგარო და თავდადებული მოღვაწეები დაბრკოლებებს არ ერიდებოდნენ, ყოველგვარ წინააღმდეგობას მამაცურად ხვდებოდნენ და ჩვენი ერის სულიერ საუნჯეს ბრწყინვალე სახეებით ამდიდრებდნენ. მათ ქართული თეატრის ჭეშმარიტად მაღალი დონე შექმნეს, ხალხისათვის სამსახურის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენეს.

მაგრამ ის, რისთვისაც რევოლუციამდე მთელი თაობები იბრძოდნენ და ვერ მიაღწიეს, განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. კომუნისტური პარტიის სახით ქართულ თეატრს გულისხმიერი პატრონი გამოუჩნდა, საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვით ჩვენმა სასცენო ხელოვნებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. წარსულის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები საფუძვლად დაედო ახალ თეატრს და ამ ტრადიციების განვითარება ორგანულად შეერწყა, შეეხამა ნოვატორულ ძიებას, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამდიდრებას.

ქართული საბჭოთა თეატრი თავისი ხასიათითა და მისწრაფებებით ჭეშმარიტად სახალხო თეატრია, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მის ყოველ მოღვაწეს ესმის და სწამს, რომ იგი ემსახურება კომუნიზმის გამარჯვების საქმეს, მომავლის ადამიანების სულიერ ჩამოყალიბებას. სწორედ ამის შეგნება აძლევს შთამაგონებელ ძალასა და მომხიბვლელობას მათს ხელოვნებას, მათს შემოქმედებას.

ქართული თეატრის ტრადიციული დღე დრამატურგებს, რეჟისორებს და მსახიობებს ერთხელ კიდევ ახსენებს თავიანთ წმიდა მოვალეობას. თეატრის დღე სადღესასწაულო თარიღი როდია, ამ დღეს თვალს ვავლებთ განვლილ გზასა და მოპოვებულ მიღწევებს, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მკაფიოდ დავინახოთ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, გავითვალისწინოთ მათი დაძლევის გზები და შემდგომი წინსვლის კონკრეტული ამოცანები დავსახოთ.

ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული მთელი ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობა, სახელმწიფო თეატრებიც და სახალხო, თვითმოქმედი კოლექტივებიც.

---

## უფრო ცხოვლად, უფრო აქტიურად

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა თეატრალური საზოგადოებების შემოქმედებითი თანამეგობრობა მეტად საგულისხმო და მისასალმებელი მოვლენაა. შარშან მათ ჩაატარეს თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული თემატიკური პლენუმები ბაქოსა და ერევანში.

მიმდინარე წლის 11 იანვარს თბილისში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თეატრალურ საზოგადოებათა წარმომადგენლები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ამიერკავკასიის თეატრალური საზოგადოებების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა თეატრალური კრიტიკის მდგომარეობას. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ.

პლენუმზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: მიმდინარე თეატრალური კრიტიკა საქართველოში (მომხსენებელი მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი), მიმდინარე თეატრალური კრიტიკა აზერბაიჯანში (მომხსენებელი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ა. ალილოვა) და მიმდინარე თეატრალური კრიტიკა სომხეთში (მომხსენებელი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ს. რიზაევი).

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს [illegible] (აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის მოადგილე), აკად. გ. [illegible], დრამატურგმა ალ. არაქსმანიანმა (სომხეთი), თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. [illegible], ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ჯაფარ ჯაფაროვმა (აზერბაიჯანი), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, მუსიკათმცოდნემ გ. გეოდაკიანმა (სომხეთი), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ეთ. გუგუშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ და თეატრალურმა კრიტიკოსმა ჯაბირ [illegible] (აზერბაიჯანი).

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ფართოდ გააშუქეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში თეატრალური კრიტიკის მდგომარეობა. მათ ყურადღება გაამახვილეს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, აღნიშნეს, რომ თეატრალური კრიტიკა უფრო ცხოვლად, უფრო აქტიურად უნდა ეხმაურებოდეს თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებას. პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს თეატრის საკითხებზე ერთობლივი მუშაობა და იმედი გამოთქვეს, რომ ეს კარგი ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება და გაღრმავდება.

# გამოჩენილი ქართველი მხატვარი

### განვიხილავთ რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს

**შალვა ამირანაშვილი**

◆

ლადო გუდიაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების ისტორიაში. მისი შემოქმედება აღბეჭდილია ჭეშმარიტი ძიებით, დიდი ოსტატობით, დახვეწილი მხატვრული გემოვნებით. მისი შემოქმედების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ანალიზი გავუკეთოთ მთელ მის მხატვრულ მემკვიდრეობას, თვალი გავადევნოთ, როგორ ყალიბდებოდა მისი ხელოვნება, როგორი იყო მხატვრის ძიება, მისი ხელოვნების ესთეტიკური პრინციპები.

გამოჩენილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი დაიბადა 1896 წელს თბილისში რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. 1910 წლიდან იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო სკოლის მოსწავლე იყო, როცა მონაწილეობას იღებდა სკოლის პედაგოგთა სურათების გამოფენებში, რომლებზეც როგორც გამონაკლისი, შეიძლებოდა გამოეფინათ მოსწავლეთა საუკეთესო ნაშრომებიც. 1914 წელს მან სამხატვრო სკოლა დაამთავრა და თანამშრომლობა დაიწყო როგორც ილუსტრატორმა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“. გამოცემათა ილუსტრაციები, ნატურიდან გადმოღებული პეიზაჟური ეტიუდები, რომლებიც მხატვარს ამ წლებში შეუსრულებია, გვიჩვენებენ საკმაოდ მაღალ ოსტატობას და დახვეწილ გემოვნებას.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ ლ. გუდიაშვილი მიწვეულ იქნა ძველი ქართული კედლის მხატვრობის შესასწავლად და პირების გადასაღებად. მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპედიციაში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, სადაც ნატურალური ზომით გადაიღო ხახულის, ოშკის კედლის მხატვრობის რამდენიმე პირი, აგრეთვე გააკეთა ბევრი ჩანახატი ნატურიდან. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ იგი შეუდგა ძველი ქართული მინიატურების, განსაკუთრებით საერო ილუსტრირებული ხელნაწერების შესწავლას. მის წინაშე თითქოს გადაიშალა ახალი სამყარო, რაღაც თავისებური, მანამდე მისთვის უცნობი, რომელმაც დაჩრდილა ყოველივე, რაც მას წინათ ენახა. ლ. გუდიაშვილმა მიზნად დაისახა შექმნა ახალი ხელოვნება, რომელიც ორგანულად დაკავშირებული იქნებოდა ძველ ხელოვნებასთან და ამავე დროს შეინარჩუნებდა მის მკაფიოდ გამოსახულ ეროვნულ თავისებურებებს. თავის ძიებაში მხატვარი ჭეშმარიტი შემოქმედებითი გზნებით ხელმძღვანელობდა. მხატვრის მიერ შემუშავებული სტილის დამახასიათებელი თვისებები გახდა: ხაზულობის უპირატესობა ფერწერაზე, ფორმის გადმოცემის სიმტკიცით ხასიათი, მოქმედ პირთა კომპოზიციური განლაგება, დამყარებული სიუჟეტის აზრობრივ მნიშვნელობაზე და არა მხედველობითს აღქმაზე, ფორმების გადმოცემის პირობითობა, რაც რიტმისა და სიმეტრიის კანონებს ემორჩილება, პერსპექტივის ჩვეულებრივი კანონების დარღვევა, სტილიზაციის ფართოდ გამოყენება და ა. შ.

როგორც ცნობილია, ლ. გუდიაშვილი ჯერ კიდევ პარიზში გამგზავრებამდე გატაცებული იყო სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სურათებით; ფიროსმანაშვილის შემოქმედებამ გაიტაცა იგი ფორმის სისადავით, გულწრფელობით, არჩეული სიუჟეტების თავისებურებით. ნ. ფიროსმანაშვილი გარემო სინამდვილეს ისე ხატავდა, როგორც შეეძლო: არ ეწეოდა მას სტილიზაციას, არც ცდილობდა მიებაძა რაიმე „პრიმიტივიზმისათვის“, ამაშია ძალა მისი ბუნებრივი ნიჭისა, რომელიც ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან.











**სურათებზე** ზევით, (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველი და მეორე — ილუსტრაციები „სიბრძნე ბალავარისა“, მესამე — „გოგონები მანდარინებით“, მეოთხე — „ხილის კრეფა“, (ქვევით) „ძველი თბილისი“.

ის, რაც ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში ბუნებრივი და ორგანული იყო. ლადო გუდიაშვილისათვის ცოცხალი ინტერესის, შესწავლის ობიექტი, შემოქმედებითი შთაგონების წყარო გახდა. ლ. გუდიაშვილი ღრმად ჩასწვდა ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებითს ბუნებას. ჯეროვნად დააფასა მისი ხელოვნების თავისებური სილამაზე. ნ. ფიროსმანაშვილის — შესანიშნავი თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედებითი სახე, რომლის სამწუხარო ბედმა ღრმად იმოქმედა გუდიაშვილზე, მუდამ აღელვებდა მას: „ნიკო ფიროსმანაშვილი“ (1928), „ჩვენი ნიკალა“ (1936), ბოლოს „ფიროსმანაშვილის სიკვდილი“ (1946), და „ფიროსმანის შესანდობარი“ (1940), გამსჭვალულია გულწრფელი გრძნობით და მისი მხატვრული გზის თავისებურების გულისხმიერი გაგებით.

გუდიაშვილი პარიზში მოხვდა (1919-1925) როგორც სავსებით მომწიფებული, საკუთარი მსოფლმხედველობის და სტილის მქონე მხატვარი. მისი ხელოვნება იმდენად თავისებური იყო, მხატვრული შემოქმედების ისეთი ძალა ჰქონდა, რომ მან მაშინვე მიიპყრო საფრანგეთის დედაქალაქის მხატვრული საზოგადოების ყურადღება. ახალი ხელოვნების გალერეა, კერძო კოლექციონერები ყიდულობდნენ მის სურათებს, რომლებიც მათზე შთაბეჭდილებას ახდენდა არა მხოლოდ ფორმის გადმოცემის მხატვრული მანერის თავისებურებით, არამედ მათთვის უცნობი „ეგზოტიკური“ ქვეყნის ცხოვრებიდან აღებული შინაარსით.

მხატვრის „პარიზის“ პერიოდის პირველი ნამუშევრები მოწმობენ რომ იგი კრიტიკულად აღიქვამდა სინამდვილეს, ბურჟუაზიული ხელოვნების კრიზისს. ამ პერიოდის ნახატები განირჩევა მწვავე სარკაზმით. რომელიც ამათრახებს საფრანგეთის საზოგადოების გაბატონებული კლასების პირმოთნეობას. ასეთებია: „სორბონის დოგმატიკოსები“ (1921), „პარიზელი ბურჟუები სორბონაში“ (1921), „თვალთმაქცი შპიკი“ (1921) და სხვა.

დახასიათების არაჩვეულებრივი სიმახვილით განირჩევა ნახატები, სადაც ასახულია დიდი კინომსახიობი ჩარლ ჩაპლინი („კაფე როტონდა“), „ჩარლ ჩაპლინი და „ბატონი“ იმპრესარიო“ (1921). მხატვარი გადმოგვცემს პარიზის ლატაკთა მთელ სიდუხჭირეს — „პარიზის ნაძირალები“ (1920), ულმობლად გვიხატავს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებასა და ორპირობას, მოხელეთა ცინიკურ კარიერიზმს — „მლიქვნელნი და მისი მფარველნი“ (1924), სისასტიკესა და ფანატიზმს — „უდანაშაულოს სიკვდილით დასჯა“ (1924), მორალურ გადაგვარებას — „მორიგეობა“ (1920).

სინამდვილის კრიტიკული აღქმა, რაც გამსჭვალულია მწვავე სარკაზმით, მისწრაფება თანამედროვე ცხოვრების სიმახინჯის მხილებისადმი, ცხოვრების მოვლენათა მიუდგომელი ასახვა აიძულებს მხატვარს მიმართოს ალეგორიულ ფორმას. მხატვრის ფანტაზია წარმოშობს გროტესკულ კომიკურ სახეებს. ნახატები გვაოცებს თავისი ექსპრესიით და ემოციური გამომეტყველების არაჩვეულებრივი ძალით. იგი ქმნის ნაწარმოებთა მთელ სერიას, რომლებშიც გამათრახებულია საზოგადოების ყველა ის მანკი, რაც კი ახასიათებს კაპიტალისტურ წყობილებას. ეს ნაწარმოებნი ექსპრესიის, გამომსახველობისა და შემოქმედებითი ფანტაზიის მიხედვით შეიძლება ამოვუყენოთ გოიას სუიტას და ვუწოდოთ მას „ქართული კაპრიჩიო“. ასეთებია: „ბიზნესმენთა კერპები“ (1924), „ჩიტუნას პანაშვიდი“ (1924), „თვითკმაყოფილი სიმახინჯე“ (1924), „ხელმეორეთ დაკრძალვა პარიზში“ (1924), „მალთუსის მიმდევართა პრაქტიკა“ (1924) და სხვა.

ლ. გუდიაშვილი მკვეთრად გაემიჯნა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ხელოვნების დეკადენტურ, ფორმალისტურ მიმდინარეობებს, რომელთა მთავარი ცენტრი იმ დროს პარიზი იყო. მის ნაწარმოებთა პროგრესული იდეური შინაარსი, შემოქმედებითი აზრის სიღრმე და მკაფიობა, ფორმების არაჩვეულებრივი სიმდიდრე, შესრულების ჭეშმარიტი ოსტატობა, მთლიანად იდეური ჩანაფიქრის გასაგები ხასიათი ძირეულად ეწინააღმდეგება ფუტურიზმის, კუბიზმის, ეგრეთწოდებული „უსაგნო“ ხელოვნების წარმომადგენელთა ესთეტიკურ შეხედულებებს, რომელთა შემოქმედებითი პროდუქცია მოკლებულია კონკრეტულ შინაარსს, ხოლო მხატვრული ფორმა გაუგებარია.

დაბრუნდა რა სამშობლოში, როგორც შემოქმედებითად მომწიფებული ოსტატი, ლ. გუდიაშვილი ჩაება საქართველოს საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითს მუშაობაში და მათი ორგანიზაციის აქტიური წევრი გახდა.

მხატვარი გულისხმიერად ეხმაურება თანამედროვე მოვლენებს, მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოდის იგი ადამიანის უფლებათა დასაცავად, ჰუმანიზმის სასარგებლოდ, ფაშიზმის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ მკაფიო ასახვა ჰპოვა მხატვრის შემოქმედებაში. ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა სერიას დიდი ადგილი უჭირავს მხატვრის შემოქმედებაში: „საზიზღარი ქვეწარმავალი“ (1942), „მოძალადე“, (1942), „ფაშიზმის „დიდსულოვნება“ (1942), „მაიმუნის სამოთხე“ (1942), „ჰიტლერის ფანტაზიის კოსმიური გაფრენა“ (1943), „ფარისევლური ღიმილი მშვიდობას“ (1942), „აგრესორის ულტიმატუმი“ (1942) და სხვა.

ლ. გუდიაშვილის მხატვრული მანერის სპეციფიკურმა თავისებურებებმა ყველაზე მკაფიოდ იჩინა თავი წიგნის გრაფიკაში, ხალხური ზღაპრების ილუსტრაციებში. მხატვარმა ზღაპრის დასურათებაზე მუშაობაში საწყის პუნქტად აარჩია არა რეალისტური საფუძველი, რომელშიც დაფარულია ზღაპრის იდეური შინაარსი, არამედ მისი იდეური მხარე, რომელიც შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარებისათვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. ასეთია მხატვრის დიდი ტილო, მიძღვნილი „დევთა მაყრობის“ ასახვისადმი (1934), დევებისა, რომლებიც ბოროტ საწყისს ახასიერებენ და რომლებთანაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან ხალხური ზღაპრების საყვარელი გმირები. არმაზის არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებმაც გადაგვიშალეს ქართული კულტურის ისტორიის მანამდე უცნობი საუცხოო ფურცელი, თავისებური ასახვა ჰპოვა მხატვრის შემოქმედებაში. დიდი ტილო „სერაფიტას გასეირნება“ (1940), ნახატი დიდი ტილოსათვის „ქორწილი არმაზში“ (1948), აცოცხლებენ წარსულის სახეებს, ქართული ზღაპრის ფანტასტიკით მოსილს.

ლ. გუდიაშვილის ხელოვნება განუყრელად დაკავშირებულია ხალხურ შემოქმედებასთან და ქართული ხელოვნების ისტორიულ ტრადიციასთან. ცნობილია, რა ყურადღება აქვს დათმობილი ირემს, შველს ხალხურ შემოქმედებაში, სახალხო მხატვრის ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოებებში, ვაჟაფშაველას გენიალურ მოთხრობაში... გულთბილობა ახასიათებს ირმების, შვლების, არჩვების გამოსახულებას ლ. გუდიაშვილის გრაფიკულ ნაწარმოებებში. პოზების საოცარი სხვადასხვაობა, მოძრაობის სინატიფე, დახვეწილი ნახატი, ოსტატობის ვირტუოზულობა ატყვევებს მაყურებლის თვალს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სერია ილუსტრაციებისა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“. მხატვარი დიდხანს და დაკვირვებით სწავლობდა შემორჩენილ ძველ ილუსტრაციებს. მან ძირეულად გადაამუშავა ისინი. ყურადღება გაამახვილა გამოსახულებათა ხაზოვან რიტმზე; რაც ახასიათებს ძველ მინიატურებს, მეტი გამომეტყველება მისცა ცალკეულ პერსონაჟებს. „სიმღერა ავთანდილისა“ (1933), რომელიც ორფეოსის მსგავსად იმორჩილებს მხეცებს, გვხიბლავს გადმოცემის ლირიკულობით, ნახატის ოსტატობით, რომელშიც ხაზები მღერიან.

მბრწყინავი იუმორით, ფორმის გადმოცემის ლაკონიურობით, მხატვრული სახეების მკაფიობით, შინაარსის სიმდიდრით, შესრულების უებრო ოსტატობით გამოირჩევა ესკიზები ი. მჭედლიშვილის პიესის „ოიანა ბუიანას“ დადგმისათვის (1941), რომლებიც აკვარელით არის შესრულებული.

უკანასკნელ წლებში ლ. გუდიაშვილი, სოციალისტური კულტურის სწრაფი ზრდით გატაცებული, მჭიდროდ ჩაება საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობაში. იწყო ბრძოლა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლებისათვის. ლ. გუდიაშვილის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამარჯვებაა სურათი „მხატვარ ფიროსმანაშვილის სიკვდილი“. ბნელ, ნესტიან სარდაფში თავის სურათებს შორის მარტო წევს მომაკვდავი, ყველასაგან დავიწყებული მხატვარი. საშინელ გაჭირვებას, ნახევრად მშიერ არსებობას ნაადრევად შეურყევია მისი ჯანმრთელობა. ნიკო ფიროსმანაშვილი კვდება საყვარელი ყალმით ხელში... რეალური სინამდვილე მხატვრის მიერ ასახულია ჭეშმარიტი ოსტატობით.

ლ. გუდიაშვილი თავისი ნიჭითა და ფართო შემოქმედებითი დიაპაზონით, ოსტატობით, უეჭველად არის დროის ერთ-ერთი შესანიშნავი მხატვარი. ჩვენი გამოჩენილი ოსტატის მიერ შექმნილი სურათები, განსაკუთრებით კი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე (1962-1964 წ. წ.) იმაზე მეტყველებს, რომ იგი ერთგულად ემსახურება ჩვენი ეპოქის დიად ხელოვნებას. ლ. გუდიაშვილი ასახავს ჩვენს სინამდვილეს მის პროგრესულ მოძრაობაში, ახლის, მოწინავის ბრძოლას ძველთან, დრომოჭმულთან. ეს ნათლად ჩანს მხატვრის ნამუშევრების გამოფენაზე, რომელიც მოეწყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. აქ წარმოდგენილია მხატვრის ის ნაწარმოებნი, რომელნიც შექმნილია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, მათ შორის ის ნაწარმოებები, რომელნიც წაყენებულია რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

პეიზაჟს მხატვრის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი არც ფონია და არც უბრალო გარემო, მას დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება აქვს. პეიზაჟი მხატვრის შემოქმედებაში ხასიათდება სტილის ერთიანობით. საყვარელი სამშობლოს სახემ, მისმა თავისებურმა სილამაზემ, რომელშიაც საოცრად არის შერწყმული სიდიადე და ინტიმურობა, სამუდამოდ განსაზღვრეს მხატვრის შემოქმედებითი გზა. მთები, წარმტაცი ხეობები, მწვანე მდელოები, საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომით გარდაქმნილი, აყვავებული მინდვრები („ჩაის მკრეფავები“, „კოლმეურნე გოგონები“, „გაზაფხული“), ძველი თბილისის რომანტიკული კუთხეები, რომლებიც საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ახალ ფურცლებს შლიან ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში, ორიგინალური მხატვრული ფორმით არიან ასახულნი.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წიგნის გრაფიკას. მდიდარი ფანტაზია, თემის ორიგინალური გადაწყვეტა, შესრულების მაღალი ოსტატობა ახასიათებს მხატვრის შემოქმედებას ხელოვნების ამ დარგში (ილუსტრაციების სერია „სიბრძნე ბალავარისა“, „მონადირე დარეჯანი და ოქროსთმიანი დალი“, „ლეილა და მეჯნუნი“ და სხვ.).

გამოჩენილ ქართველ მხატვარ ლადო გუდიაშვილს განსაკუთრებული ადგილი აქვს დამკვიდრებული ქართული საბჭოთა ხელოვნების ისტორიაში. მისი შემოქმედებითი მიღწევები ეკუთვნის ქართული ხელოვნების საგანძურს. ლ. გუდიაშვილის შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები, რომელიც მხატვარმა შექმნა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სავსებით იმსახურებენ იმას, რომ მათ ავტორს მიენიჭოს დიდი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

## შეხვედრა ლადო გუდიაშვილთან

**საქართველოს** ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის 1962-1964 წლებში შექმნილი ნაწარმოებების გამოფენა. ეს ნაწარმოებები წარდგენილია რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად. ამ დღეებში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ხელოვნებისა და ლიტერატურის სახალხო უნივერსიტეტმა მოაწყო ლექტორებისა და მსმენელების შეხვედრა ფუნჯის დიდ ოსტატთან.

სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი გულთბილად შეხვდა სტუმრებს, დაწვრილებით ესაუბრა თავის ნაწარმოებებსა და მომავალ შემოქმედებით მუშაობაზე.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებთან ერთად აქ იყვნენ აკადემიკოსები: შ. ამირანაშვილი, გ. ჩიბლაძე, ალ. ბარამიძე, ნ. კეცხოველი, პროფესორები: შ. ძიძიგური, ო. მჭედლიშვილი, პ. კეკელიძე, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი ვ. მოსულიშვილი და სხვ.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ მსმენელთა დიდი ჯგუფი სახალხო მხატვრის ბინაში ეწვია, სადაც ისინი უფრო დაწვრილებით გაეცნენ მხატვრის ნამუშევრებს.

ლ. გუდიაშვილი ესაუბრება სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს.

## ვ. ნ. სოსიურა

[illegible] უკრაინელმა ხალხმა [illegible] შვილი, გამოჩენილი საბჭოთა პოეტი ვლადიმერ სოსიურა.

ცხოვრებისა და შემოქმედების საამაყო გზა განვლო პოეტმა. მან თერთმეტი წლისამ დაიწყო ფიზიკური შრომა. პირველი მსოფლიო ომის წლებში მაღაროში მომუშავე ჭაბუკმა დაწერა პირველი ლექსები. სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც გერმანელებმა უკრაინის ოკუპაცია მოახდინეს, ვლ. სოსიურა საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა და იარაღით ხელში იბრძოდა მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის.

ვლ. სოსიურას პირველი წიგნი გამოქვეყნდა 1921 წელს. მას შემდეგ პოეტმა ორმოცდაათზე მეტი პოეტური კრებული გამოსცა. ყოველი მათგანი საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო მოვლენა იყო და მკითხველთა საყვარელ წიგნად იქცა.

სამამულო ომის წლებში ვლ. სოსიურა მოქმედი არმიის რიგებში იყო. კომუნისტი პოეტის მგზნებარე პოეზია აღაფრთოვანებდა საბჭოთა მეომრებს და გამარჯვების მტკიცე რწმენას უნერგავდა.

ჩვენმა ხალხმა, საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ვლ. სოსიურას საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას. პოეტი დაჯილდოვდა ლენინის, ბრძოლისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. იყო სახელმწიფო პრემიისა და ტარას შევჩენკოს სახელობის პრემიების ლაურეატი.

საბჭოთა ხალხის გულში მარად იცოცხლებს ჩვენი თანამედროვეობის დიდი პოეტის, ჩვენი ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა მომღერლის ვლადიმერ სოსიურას სახელი, მისი ცეცხლოვანი და შთაგონებული პოეზია.

## საპატიო წოდებების მინიჭება

**ქართული** თეატრის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 13 იანვრის ბრძანებულებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა დიდ ჯგუფს მიენიჭა საქართველოს სსრ საპატიო წოდებები.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭათ: მ. პ. ამირანაშვილს, ნ. დ. ანდღულაძეს, შ. რ. ალსაბაძეს, მ. ს. ვაშაძეს, ბ. ა. ზაქარიაძეს, მ. ა. კოკვეს, გ. ქ. კონტავას, ვ. პ. მეგრელიშვილს, თ. ვ. მეუკუდიანს, ი. ი. მაქსიმოვას, ვ. ვ. ნინიძეს, მ. ი. პიპინაცის, მ. დ. უვარელაშვილს და ე. ა. ჩოხელს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭათ: ბ. ა. გამრეკელს, დ. გ. თაყაიშვილს, ა. ი. მიქელაძეს, დ. ნ. მაჭავარიანს, ვ. ზ. მჭედლიძეს და კ. ს. სირბილაძეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭათ: ო. კ. აბაშიძეს, ე. ვ. აირუმოვას, ი. ი. ბალას, ო. მ. ბახტაძეს, ლ. ფ. ბაბკოვას, ვ. პ. ბაქრაძეს, ა. გ. ბეგალიშვილს, გ. ი. ბიჩიკაშვილს, მ. ა. გაგაშვილს, რ. გ. გელოვანს, გ. ბ. გელოვანს, გ. ი. გოცირიძეს, ვ. გ. გოგიბერიძეს, ს. ი. დათუკიშვილს, ი. ს. დარბაიშვილს, ა. ი. დათუნაშვილს, ქ. ტ. დოლიძეს, ვ. მ. დოლიძეს, ბ. ვ. დურმიშიძეს, ა. ა. ვაცეს, გ. ს. ებრალიძეს, ქ. ს. ესებუას, მ. დ. თაბუკაშვილს, რ. პ. თავართქილაძეს, ბ. ნ. თოფურიძეს, მ. ა. ინტრიაშვილს, კ. ს. კალანდაძეს, გ. გ. კოკოევს, რ. ს. ლომინაძეს, შ. ბ. ლორთქიფანიძეს, ა. ა. მანუკიანს, მ. ნ. მალიაროვს, გ. ა. მალიშევას, გ. ნ. მაჩიშვილს, ვ. დ. მგელაძეს, გ. ე. მდივანს, ბ. ვ. მიმინოშვილს, ო. ვ. მეღვინეთ-უხუცესს, ა. შ. მიქელაძეს, შ. დ. მოსიას, ა. მ. ნემანს, ვ. ბ. ნიკოლაიშვილს, გ. გ. რევაზიშვილს, მ. ა. სანიკიძეს, ა. მ. სიგუას, ი. ა. სუხანოვს, ო. მ. ტატიშვილს, ო. ა. ტიგოშვილს, ა. ს. ულრიხს, მ. ნ. ფირცხალაიშვილს, გ. ა. ქაცარავას, ი. გ. ქებაძეს, მ. მ. ქორქაშვილს, ი. ი. ქუთათელაძეს, დ. ს. უუფარაძეს, ს. დ. შანიძეს, დ. ი. შამშელაშვილს, ი. ა. შაბელს, ა. მ. შონიას, შ. ნ. ჩირაძეს, ე. ნ. ჩახუნაშვილს, დ. ე. ცქიტიშვილს, მ. მ. ცაცაშვილს, ნ. კ. წერეთელს, შ. ი. ჭავჭანიძეს, ვ. ი. ჭიჭინაძეს, მ. კ. ხოფერიას, ი. პ. ჯინჭიბაძეს და ბ. გ. ჯავახიას.

## ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად

**ოქტომბრის** რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებას მიეძღვნა მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მინისტრთა თათბირი, რომელიც ამ დღეებში შედგა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში.

რსფსრ კულტურის მინისტრმა ა. ი. პოპოვმა, უკრაინის სსრ კულტურის მინისტრმა რ. ვ. ბაბიიჩუკმა და უზბეკეთის კულტურის მინისტრმა ზ. რ. რახიმბაბაევამ სხდომის მონაწილეებს მოუთხრეს, თუ როგორ ემზადებიან კულტურის მოღვაწეები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკები ამ დიადი თარიღისათვის, რა გამოფენებს და თეატრალურ დადგმებს ნახავენ მაყურებლები, რამდენი ახალი თეატრი, საკონცერტო დარბაზი, ცირკი, კლუბი და ბიბლიოთეკა გაიხსნება და სხვ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კულტურის მინისტრებმა ლ. გ. გალოშაჯანოვმა (ყაზახეთი), რ. გ. ხაჩატურიანმა (სომხეთი), ო. პ. ბუაჩიძემ (საქართველო), მ. ქ. ყურბანოვმა (აზერბაიჯანი) და სხვ. მსჯელობის დროს დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც შემოქმედებითს კოლექტივებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს დიდად დაეხმარება ისტორიული თარიღის შეხვედრისათვის სამზადისში.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა.

# სიტყვა და ცხოვრება

ამ დღეებში წიგნის მაღაზიების ვიტრინებზე გამოჩნდა გივი ვარდოსანიძის „სიტყვა და ცხოვრება". თვალი სჯამსო, ნათქვამია. მეც დავინტერესდი წიგნის სათაურით და მისი გარეგნობით. ამ ბოლო დროს ზოგიერთი „ნოვატორი" გრაფიკოსი ისე აფორმებს წიგნს, რომ მთელი საათი უნდა იდგე და იწვალო, რათა ამოხსნა ყდაზე გამოყვანილი ოყრობიყრო იეროგლიფები. როცა დიდებული ქართული შრიფტი ადამიანურად არის დაწერილი და ყოველ ანბანის მცოდნეს შეუძლია მისი ამოხსნა, წიგნისადმი თავიდანვე სიმპათიით განეწყობით.

გ. ვარდოსანიძის წიგნის პირველი წერილის სათაური „მწერლობის სიცოცხლე" უკვე იქცევს თქვენს ყურადღებას. ხოლო პირველსავე გვერდზე გამოთქმული მოსაზრებები იმდენად საყურადღებოა, რომ თავიდანვე გიპყრობს. „ჭეშმარიტად ეროვნული მწერლის შემოქმედებაში სიტყვა აწონილია ზომიერობით, იგი საშუალებაა მხატვრული სახე-ხასიათის, მხატვრულ-ეროვნული ტიპის დახასიათებისათვის. ლიტერატურული ტიპი განუყოფელია ეროვნული ენისაგან. ნიჭიერი მწერლის ქმნილებაში ზოგჯერ მხოლოდ ერთი სიტყვაც კი დიდი აგურია მხატვრული ტიპის შექმნაში" (გვ. 3-4).

შეიძლება ნიჰილისტურად განწყობილმა პირებმა იფიქრონ, რა საჭიროა აქსიომაზე, საანბანო ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი. წარმოიდგინეთ, რომ დიდად საჭიროა. იყვნენ და არიან მწერლები, რომელთაც ზედმიწევნით არ იციან ის ენა, რომელზეც წერენ. არ არის საკმარისი იცოდე ენის მორფოლოგია, სინტაქსი და სხვა მრავალი კატეგორია გრამატიკისა. საჭიროა იცოდე ენის ბუნება, შეგრძნობილი გქონდეს მისი სილამაზე. მახსენდება ილია ჭავჭავაძის ერთი ნაკვესი:

მწერალმა ანტონ ფურცელაძემ, რომელსაც ენას უწუნებდნენ, ილიას შესჩივლა:

— ილია, „დიდი მოურავი" ჩემი დაწერილია, ის ხალხს უყვარს, მაგრამ არ კითხულობს.

— შენი ქართულის ჭირიმე, დიდი მოურავი მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ შენი დაწერილი „დიდი მოურავი" მაინც ვერ წავიკითხე ბოლომდე, — მიუგო ილიამ.

რატომ ვკითხულობთ დაუზარებლივ, ათჯერ და ოცჯერ ილიას „ოთარაანთ ქვრივს"? იმიტომ, რომ ეს ნაწარმოები მძივად ასხმულ მარგალიტებს მოგვაგონებს, ლამაზი ჩუქურთმებით მოვარაყებულს. აბა, ამ ნაწარმოებს თუნდ ერთი მძივი გამოაცალეთ, — სიმღერია დაირღვევა. სრულ ჭეშმარიტებას ამბობს გივი ვარდოსანიძე, რომ „ერთი სიტყვაც კი დიდი აგურია მხატვრული ტიპის შექმნაში". თავის ამ დებულებას ავტორი კონკრეტული ფაქტებით არ ტვირთავს, და ეს მართებულიც არის. ერთ პატარა წერილში კონკრეტული მაგალითების მოყვანა საკითხს დაამწვრილმანებდა. ქართული ენის ღრმა ცოდნა, მისი მუსიკალობის გამოვლინება — აი ყოველი მწერლის წმიდათაწმიდა მოვალეობა. და ამას მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ავტორი.

მეორე წერილში „სინამდვილე და ნარკვევები" გაშუქებულია ნარკვევის, როგორც ჟანრის, არსი და დანიშნულება. ხშირად ქართულ ნარკვევებში, — წერს ავტორი, — თავმოყრილია უამრავი ფაქტი, ჩამოთვლილია ათობით ადამიანის სახელი და გვარი. მაგრამ აღწერა, მოვლენები, ფაქტები და ადამიანთა სახეები მოკლებულია სიღრმეს და მხატვრულ განზოგადებას. ბევრი მწერალი აღმაცრად უყურებს ნარკვევს. მას არ თვლის მხატვრულ სრულფასოვან ჟანრად. ავტორი კონკრეტული მაგალითებით გვიხატავს, თუ როგორი უნდა იყოს ნარკვევი.

ამავე წიგნში ავტორი აყენებს სატირის საკითხს — თუ როგორია მისი დანიშნულება ჩვენს დროში და რა ამოცანები აქვს მას გადასაწყვეტი. იგი მართებულად აღნიშნავს, რომ როცა სალტიკოვ-შჩედრინი მწვავედ ამათრახებდა მეფის რუსეთის გაიძვერა მოხელეებს, ამით იგი პროტესტს უცხადებდა თვით მემამულურ-ბატონყმურ საზოგადოებას; ხოლო როცა საბჭოთა მწერალი დასცინის და მწვავედ აკრიტიკებს ამა თუ იმ მუშაკს, ამით არსებული საზოგადოების წინააღმდეგ კი არ მიმართავს კრიტიკის მახვილს, არამედ გადაგვარებული ადამიანების წინააღმდეგ.. ამიტომ ცდება ის მწერალი, რომელსაც შეუძლებლად მიაჩნია თანამდებობაზე მყოფი უღირსი პირის გაკრიტიკება და თავისი მახვილი უბრალო მეიარეზე გადააქვს.

ვის არ ხიბლავს და არ იტაცებს საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, ვის არ ატკბობს ქართული ხალხური მუსიკა თავისი წარმტაცი მელოდიებით, ვის არ აოცებს ჩვენი ხალხის გენიის გამომხატველი ხალხური პოეზიის საგანძური. რასაკვირველია, ასეთ ერს მწერლობაშიც უნდა ჰყავდეს თავისი ხალარი ძალები — ერის გენიის გამომხატველნი. ეს ასეც არის — საკმარისია გავიხსენოთ რუსთაველი.

რუსთაველის შემდეგ მდიდარი და დიდი ქართული სულიერი კულტურა ნათლად გამოვლინდა ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალ ძეგლში.

მაგრამ თუ საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი პოეზიით და პროზით, დრამატურგიის მხრივ მაინცდამაინც ბევრი არაფერი ითქმის და მსოფლიო დრამატურგიის საგანძურში ჩვენ დიდ ადგილს ვერ მოვიკავებთ. თუ ჩვენს მწერლობას საუკუნეთა მანძილზე თავისი ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, ქართული დრამატურგია, როგორც ლიტერატურული ჟანრი, მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

ავტორი ერთ წერილში („სიცილი ფიქრით"), სამართლიანად აღნიშნავს, რომ მემკვიდრეობით დიდი დრამატურგიაც რომ მიგვეღო, სინამდვილის ასასახავად ხელოვნების ამ სფეროშიც საჭირო იყო ახალი გზების ძიება. ამასთან დაკავშირებით გ. ვარდოსანიძე ფართოდ იხილავს პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებას.

პოლიკარპე კაკაბაძის პიესების პერსონაჟები, — წერს გ. ვარდოსანიძე, — თავისი დროის შვილები არიან, თავისი საზოგადოების არსებითი ნიშნები აქვთ და ამასთანავე ისინი იმდენად რეალურნი არიან და მათ იმდენად ზოგადი ხასიათი აქვთ, რომ შეგვიძლია ისინი ყველგან აღმოვაჩინოთ, სადაც არ შეწყვეტილა საზოგადოებრივი ბრძოლა ცხოვრების ძველსა და ახალ ფორმებს შორის.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს", „კოლმეურნის ქორწინებას", „დავით მერეყეს", „სამ ახალს" და „ცისცინათელას" და მართებულად იქცევა, რომ მათ კარგ შეფასებას აძლევს. ამასთან დადებით მხარეებთან ერთად ხარვეზებსაც აღნიშნავს.

შემდეგ წერილებში, კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით, განხილულია იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მირცხულავას, ირაკლი აბაშიძის, მაქსიმ გორკის და ბორის გორბატოვის შემოქმედება.

მე, როგორც მკითხველს, მიყვარს ეს შემოქმედნი, და თუ თვითეულ წერილს არ განვიხილავ, უწინარეს ყოვლისა, ვითვალისწინებ, რომ გაზეთისათვის განკუთვნილ წერილში ტექნიკურადაც შეუძლებელია ყოველივეს გაშუქება. რაც მთავარია, პოეტების შემოქმედების განხილვა პოეტური აღმაფრენით დაჯილდოებულ ადამიანთა ხვედრია, რაზეც პრეტენზიას არ ვაცხადებ.

როცა წიგნს სიამოვნებით კითხულობთ — და ნუ დაივიწყებთ, თეორიულ შრომას, — ეს იმას მოწმობს, რომ ავტორმა მიზანს მიაღწია.

გ. ვარდოსანიძის წიგნში გამოვლინებულია ჩვენი ენის მდიდარი ბუნება, მისი სილამაზე, საგნის ღრმა ცოდნა და მწერლის პროფესიონალიზმი.

ალ. ბურთიკაშვილი



მეჩაიე ქალები.
მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

# ძველი თარგმანების ახალი გამოცემის შესახებ

პოლ ბურჟე მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან სახელი გაითქვა რომანების სერიით, რომელთა შორის საჭიროა დავასახელოთ „ანდრე კორნელი", „საშინელი გამოცანა", „ცოდვა სიყვარულისა", „სიცრუე", „მოწაფე", „ქალის გული", „აღთქმული ქვეყანა" და სხვა. პოლ ბურჟე დიდი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს თავისი გმირების სულიერ მდგომარეობას. იგი ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა მცოდნეა, განსაკუთრებული სიძლიერით აღწერს ადამიანის ტანჯვასა და ბედნიერებას, მწუხარებასა და სიხარულს. როდესაც პოლ ბურჟეს ნაწარმოებებს ვკითხულობთ, ნათლად ვხედავთ, რომ მწერალი აგრძნობინებს და შეაგრძნობინებს თავის გმირებს დანაშაულს, გვიხატავს მათს ზნეობრივ ტანჯვა-ვაებას და მიჰყავს შეცდომათა მონანიებამდე. ზოგჯერ პოლ ბურჟეს გმირები სასტიკად ისჯებიან იმის გამო, რომ მწვავედ იგრძნონ და გაიგონ საკუთარი პასუხისმგებლობა ანტისაზოგადოებრივი ქცევისათვის, არაადამიანური მოქმედებისათვის. ავტორმა თავის რომანებში ნებით თუ უნებლიეთ გვიჩვენა არა მხოლოდ დეტერმინისტული თეორიების დამღუპველი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანთა ურთიერთობაზე, არამედ ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის დამარცხებაც. ნიჭიერმა მხატვარმა დამაჯერებლად დაგვიხატა მეორე იმპერიის დროინდელი საფრანგეთის „მაღალი" საზოგადოების გადაგვარება და დაცემა, ამასთან სცადა მოეცა დადებითი იდეალების მქონე ადამიანთა სახეები, მაგრამ ეს კეთილშობილი ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელა.

პოლ ბურჟეს რომანებმა გამოსვლისთანავე მიიქცია ქართველი საზოგადოების ყურადღება. მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ქართულად ითარგმნა მისი ორი რომანი „ცოდვა სიყვარულისა" და „ანდრე კორნელი". პირველი დაიბეჭდა 1886 წელს გაზეთ „ივერიაში", 1894 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა, მეორე კი ამავე წელს ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნდა. „ივერიამ" „ცოდვა სიყვარულისას" ქართული თარგმანის გამო მკითხველს აუწყა: ამ რომანმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია საფრანგეთში, სახელი გაუთქვა ახალგაზრდა რომანისტს. დიდი ღირსება ამ რომანისა საკვირველი, ძლიერი და მძაფრი გამოხატვაა ადამიანის სულის მოძრაობისა. მოქმედნი პირნი თითქოს ნამდვილნი და ცოცხალნი არიან. კითხულობ შესანიშნავი რომანისტის ამ ნაწილს და კიდევ გინდა, ხელმეორედ გადაიკითხო. ზნეობრივი შეხედულება და აზრები ავტორისა, გამოთქმული ამ რომანში, უეჭველად მაღალი და წმინდა შეხედულება და აზრებია.

ორივე ამ რომანის თარგმანი ეკუთვნის თავისი დროისათვის გამოჩენილ მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ ყიფშიძეს. მისასალმებელია, რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ეს ორივე წიგნი ამ დღეებში ერთ ტომად გამოუშვა ც. ფანჩულიძის მოხდენილად დაწერილი წინასიტყვაობით. თარგმანები მშვენივრად არის შესრულებული, კარგად იგრძნობა ძირძველი ქართულის მთელი ძალა და სილამაზე. წინადადებებზე უცხოური ტექსტის გავლენა თითქმის არსად ეტყობა, თხრობა ლაღია და ბუნებრივი. ამის მიუხედავად, გამომცემლობის მისამართით გვაქვს ერთი შენიშვნა: ძველი თარგმანის ხელახალი გამოცემის დროს, რაგინდ კარგიც უნდა იყოს იგი, ზოგიერთი რამის გასწორება მაინც აუცილებელია, მით უფრო, როცა გამოცემა მასობრივი მკითხველისათვის არის განკუთვნილი. მეცხრამეტე საუკუნის ენობრივი ნორმები, ორთოგრაფია სხვა გახლდათ, დღევანდელი კი სხვაა. ამის გარდა, ამ ხნის განმავლობაში თარგმნის კულტურა საქართველოში დიდად წავიდა წინ, დაიხვეწა სტილი და წერის მანერა. ამასთან ყიფშიძის დროინდელი ჩვენი დედაენა სავსე იყო ბარბარიზმებით, რისგანაც თანამედროვე სამწერლო ქართული საკმაო ხანია განთავისუფლდა. ჩვენი დედაენა იმ პერიოდში ადვილად იტანდა სიტყვების უნებლიე გამეორებას, რაც დღეს კარგი სტილის ნაწარმოებისათვის სრულიად მიუღებლად ითვლება. თანამედროვე ხეირიანი ქართული თარგმანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მრავლად არსებულ თარგმნით ნაცოდვილარს, ამ მხრივ ბევრად მაღლა დგას წინაპართა არა ერთ ნამუშევარზე. საჭირო იყო თუ არა გამომცემლობას ყოველივე ეს გაეთვალისწინებინა? მასობრივ მკითხველს სჭირდება თანამედროვე ენობრივი ნორმების მიხედვით გამართული თარგმანი (ამას ხომ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს!), ხოლო გ. ყიფშიძის წერის სტილისა და მანერის, მისი დროის დამახასიათებელი ენობრივი ნორმების (თუ ასეთი ნორმების საერთოდ არსებობდა) დაცვა აკადემიური გამოცემის მოვალეობაა და არა მასობრივისა! ამ მხრივ სავსებით სწორად მოიქცნენ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოშვებული ბურჟეს რომანის „იხას" ძველი თარგმანის გამომცემელნი, როცა დღევანდელი მიუღებელი ენობრივი შეუსაბამობანი გაასწორეს. ამ გამოცემაშიც საჭირო იყო ზოგიერთი რამის შეცვლა, და თუ გამომცემლობა მაინც და მაინც აუცილებლად მიიჩნევდა, — ძირითად შენიშვნებში მთარგმნელისეულ ფორმების ჩვენება.

შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის დავასახელებთ წიგნის დასაწყისის პირველსავე აბზაცს: „კედლებს სხვა ფერის ჰქონდა გაკრული და ზედ დიდი სახეები იყო გამოყვანილი. მწიფე შინდისფერი ფანჯრის ფარდები ამჟამად ჩამოფარებული იყო, ესე უფრო შეკრული იყო ოთახი და შიგ მყოფნი ძალიან ხერხიანად გრძნობდნენ თავს შიგნით, [illegible] ... ცა ეძინა ამ ქალის შვილს, პატარა ანრის. რად იყო ეს ხანი პატარა ყმაწვილისა იმდენად სუსტი, რომ ვერ მოაბრუნა ფარული ტრფიალების გზიდან და რად იყო ისე ძლიერი, რომ უშლიდა ამ გზაზე ბოლომდე ვალი... ქალს მაინც არ შეექცეოდა არიმანი. ხომ იმან შეაყვარა თავი იმ ქალს, რომელიც მისი მეგობრის ცოლი იყო". ამდენ „იყო"-ს თანამედროვე ქართული სტილი ვეღარ იტანს! ამას ბევრი სინონიმი აქვს და მათი თავ-თავის ადგილზე გამოყენებას არ უნდა მოვრიდებოდით, კარგი იქნებოდა, გამომცემლობას გაესწორებინა ზოგიერთი უხერხული გამოთქმაც, მაგალითად: „მე ერთი პატიოსანი და მართებული სახლი ვიცი", „ამ ქალის დაძლევა არაფერი თავმოსაწონებელი კი იყო". აუცილებლად მიგვაჩნია შეცვლილიყო აგრეთვე „ჩულქის" კატეგორიის ბარბარიზმები, ზოგიერთი სიტყვის ორთოგრაფია, ასევე თანდებული „-ზედ", რომელიც დღეს უკვე აშკარა დიალექტიზმად ითვლება.

ძველი თარგმანების მასობრივი გამოცემის დროს ტექსტის გამართვას, ენობრივ [illegible] მეტი ყურადღება უნდა მიექცეს!

მ. მამულაშვილი

## კვლავ მივეახლო თბილისელ დოსტებს

რასულ გამზათოვი

დაღესტნის სახალხო პოეტს რასულ გამზათოვს 1963 წელს ლექსების წიგნისათვის „მაღალი ვარსკვლავები" მიენიჭა ლენინური პრემია. პოეტმა გაბრიელ ჯაბუშანურმა ქართულ ენაზე თარგმნა ეს წიგნი, ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ორ ლექსს ამ წიგნიდან.

ღამით ვაგონში შემაგდო ნატვრამ
და მიმაახლა თბილისის ზღვას.
[illegible], ისე, ვით დოსტი
ვესტუმრებოდი ირაკლის [illegible],
ჩვენ რიგრიგობით ლექსებს ვკითხულობდით,
პირველად მე და ირაკლი მერე.

შემდეგ კი, როცა დილა ახალი
ცეცხლს შეუნთებდა მაშრიყის ჭერსა,
ირაკლი მუხლებს დაუტაბებდა,
რომ [illegible] ერთად.
მოვუწყობდით დოსტებს [illegible],
მერე კი, [illegible] კვლავ!

გამაცილებდა სტუმარს ირაკლი,
დამაბარებდა ლექსებთან სალამს...
—კვლავ მწადს სამი დღით არც მომაგონდეს
არც ერთი საქმე, გავცდე თუ მოვცდე,
კვლავ დავიტოვო ღამის ვაგონს და,
კვლავ მივეახლო თბილისელ დოსტებს.

## სანამდის ბრუნავს ეს დედამიწა

მე მზე მემახსოვს, როგორც თქვენ წყალი,
წლითა აღმართებს მივდევდი როცა,
რათა მენახა აისი — ლალი
ან ლალისფერი თაისის როკვა.
ამაქ მწვერვალთა ლურჯ მხარეში,
სად გულებს ახლავს სხვაგვარი ზავთი, —
ვარსკვლავებს ვკვამდი მთის მდინარეში,
მთის წყაროებში ვარსკვლავებს ვკვამდი.
ლურჯი თასიდან [illegible] ცივა,
რის [illegible]
          ხმლებული, —
ჰაერი, ტკბილი, მე ხარბად მისვამს, —
ღრუბლეთა [illegible] დაკრებული.
ფანტელი მისვამს, სად [illegible]
[illegible] კბოდეს.
მახსოვს:
    [illegible],
მეზობელ [illegible].
მე [illegible].
          რომ მთაში
აქა-იქ უკვე იწყებდნენ თესვას.

თეთრ წიფლიანთის უმკაცრეს თოვში
მე არასდროს ყინვაც კი მისვამს.
მისვამს ჭექილთა [illegible], —
მიწვს რომ აამბს დილების თასის
და მაშინ, როგორც ჰაერი თხოვნა,
ისე ვლოდა სარტყელი [illegible].
და კვლავ [illegible],
წყურავდა ხვია ქვიშიდან კლდისა.
მე დამილევავს ციური წვეთი
და მთათა მძაფრი სურნელი მისვამს.
მიწის სიტურფით თრობაც ვიცოდი,
[illegible] მის ხვეჭ და მინდვრის.
ახლის ვეტრფოდი, ახლის ვიწოდი,
ჰანგს ისე ვსვამდი, — ვმღეროდი თითქოს.
რთულია კაცთა ხელის ბუნება, —
მეც ვსვამდი (განა მეგობარი გვარი!):
[illegible] დროს თავლის ბუხსა და
შეჭირვების დროს ორნახადს მწარეს.
[illegible], მე როცი მისვამს
თავშესაქცევად
          და არც დავლევდი.

მე ვჭრეტდი ხანძარს ხირისიმისას,
მესმოდა ფრთონა ფესტივალების.
[illegible] ლენინური [illegible] ვარიდებდი,
სულს ვუწურავდი ყოფის ჭაფს [illegible],
ვუმღერი:
    ცხოვრების ჭეშმარიტებას, —
ჭეშმარიტია ცხოვრების აზრი.
ვიტანჯვი, ვხარობ, [illegible] ტრფობა —
                სურვილი
და ჩემს ყოველ დღეს, ჩემს ყოველ ღამეს
მე ვსვამ ბოლომდის,
    კვლავაც ვგრძნობ წყურვილს
და ცხოვრებას [illegible] ამის.
მწამს [illegible] და სიცოცხლის
            ლოთსა
არყოფნის ალი მეც ფრთებს დამიწვავს,
მაგრამ ხალხს მარად წყურვილი მოსდევს,
სანამდის ბრუნავს ეს დედამიწა.

თარგმნა გაბრიელ ჯაბუშანურმა

## უშენოდ

მედეა კახიძე

ამ მთებზე ბევრჯერ მივლია წინათ,
ეს გზა მრავალჯერ დამიტკეპნია,
და ნამხეური წყაროს თვალებით
ცის ლაჟვარდებში ჩამიხედნია.
კავკასიონის [illegible]
თრიმლებს ვკიდით ქიაკოკონა,
მზით გადღენთილი ალაზნის ველი
მზეში [illegible] გასამზეურებლად.
თვალი დამიგავს მრავალ ათასჯერ,
ვით [illegible] ზმორებ-ზმორებით
კუდღუმიუზე თეთრი ღრუბელი,
როგორ ხდიოდა ველს გაშლილს
მძაფრი სურნელი — ნელსაცხებელის.
უშენოდ გულს არ ემღერებოდა,
ვერც ცას ვხედავდი და ვერც ბილიკებს,
ზეცა სარკმლად ვერ გავიმეტე,
ვერ გავუსწორე თვალი მწვერვალებს.
ამ შემოგარენს და სილამაზეს
უშენოდ მადლი არა ჰქონია,
ეს მზის ფერები და სილაჟვარდე
საოცრებად არ მიმიჩნევია.
ნაადრევებით დათოვლილ მთებზე
როგორც ოჯახის მეკვლემ პირველმა
თითქოს პირველად შემოდგა ფეხი,
ჩემს გაოცებას და მზიან თვალებს
მაგ თვალთა შუქი შემატებია.
— ამ მზეკაუსულ ტყეებს და ჭალებს,
ეს რა ულმერთო მადლი სცხებია!

* * *

ჩემთვის, ამ ქვეყნად
სულერთი იყო
ენკენისთვეში, — დედაბუდიან
სად მიფრინავდნენ მოლაღურები,
ვისთვის [illegible]
[illegible]!

ჩემთვის, ამ ქვეყნად
იყო სულერთი,
რად გაურბოდა ხავსი სინათლეს
და რატომ სძულდა ხავსს მზის ფერები.

ჩემთვის, ამ ქვეყნად
სულერთი იყო,
რომ ხეს ზამთრულში ეძინა თბილად
და ყაამათში იდგა შიშველი,
რომ ყველა ვერხვებს ეძახდნენ ვერხვებს
და არ ჰქონიდათ ცალკე სახელი.

ჩემთვის, ამ ქვეყნად
იყო სულერთი,
რომ ვაზი მუდამ ათრობდა სხვებს და
თვითონ სულ მუდამ იყო ფხიზელი,
რომ სადღაც ტყეში წაიქცა მუხა,
რომ დედამიწა ყოფილა გრილი,

...დღე და ღამ, შენ ერთს [illegible],
და სიკვდილისათვის არა მცალია,
და ჩემს გარშემო, სხვა ყველაფერი
ჩემთვის, ამ ქვეყნად — არის სულერთი!

მოთხრობა

# ტრფიალი

არჩილ ჩაჩიბაია

— გაგაისი! დაბრუნდი, რაისთვი მამიგეფიყვი, რაისთვი? — თითქოს მომძახოდნენ მელურჯებული მთები.

პაპა ღვთისავარიც მიხმობდა ჩახლეჩილი ხმით.

— გაგაისი! დარჩებოდე ბიჭო, დარჩებოდე, მეთქი!

— რაისთვი მეუბნები აგრე, რაისთვი?

— აგრე მგონია, უშენობაი ამა სოფლად ძალლუმადლურად ჩამიქრება!

— პაპაისი, აგრე ნუ იტყვი!

— აბა რაღა არ მიგინებ, ბიჭო?

— მენაც მინდა რამე ვისწავლო! მენაც მინდა კაცი გამოვიდე!

— ბებრებსა მარტო რაისთვი გვტოვებ?

— ეს მენაც მადარდებს, მაგრამ გამიგონე პაპაისი, ვისწავლი და დავბრუნდები!

— ბიჭო! რა იქნების რო დარჩებოდე, ოჯახს არ დამინაყრინებდე მტერსა, ჭერს დამითესვინებდე ვიხმესა!

— პაპაისი, რომ დავბრუნდები, შენაც გაგახარებ, მენაც გავიხარებ!

ასე ვეუბნებოდი პაპას. მაგრამ გული მიკვდებოდა მის შემყურეს. წელში მოხრილი, ცალი მხარი შესამჩნევად ჩამოქვეითებული, სახე ერთიანად გაცრეცილ-დანაოჭებული, თვალები ჩავარდნილი და უსიცოცხლო.

ხელობა უნდა შემესწავლა, ეს იყო ჩემი ტრფიალი.

ჰოდა, ჩემი გადაწყვეტილება რომ გაიგო, თვალიდან არ მიშორებდა, მაგრამ მაინც მივატოვე...

ახლა სტუმრად თუ ჩავალ სოფელში.

პაპა ღვთისავარი შორიდანვე მცნობს: მერიქრალებულზე ნაარწივალს რომ გადავალ, ვხედავ პაპას წარბებთან ხელი მიუჩრდილავს და გახარებული მეძახის:

— გაგაისი, ბიჭო! მოდი, ჩამეხვიე... სიხარული მოგაქ, სიცოცხლე მოგაქ. მოდი გაგაისი, მოდი... ჩემი ჭაბუკობა მომაგონე, გამახარებდე!

სიხარული ალიტაცებდა, ჯარასავით დატრიალდებოდა. მაგრამ ვატყობდი, მალე იღლებოდა, სახე უფითრდებოდა, სუნთქვა უხშირდებოდა, თუმცა სახიდან ნაძალადევ ღიმილს მაინც არ იშორებდა.

გვერდით მომისვამდა. უხმოდ მიყურებდა დიდხანს, ხანამ სულს მოითქვამდა და რომ შემატყობდა, მისმა ჯანგატეხილობამ შემაწუხა, მხოლოდ მაშინ მეტყოდა:

— ეჰ, ძნელია, გაგაისი, სიბერე, ძნელი!

— გულს ნუ გაიტეხ, პაპაისი!

თავზე ხელს გადამისვამდა, მკერდში ჩამიკრავდა და მერე კი ამა ქვეყნისა თუ იმა ქვეყნისა, ზესკნელისა და ქვესკნელის ამბებს მომაყოლებდა.

— ახალსა რასა მეტყოდე გაგაისი, ახალი რაი ამბავია?

— მშვიდობაა, პაპაისი, მშვიდობაა!

— კარგია მშვიდობაი, კარგი! კაცთა ხოცვაი აღარ იქნების, ბალღებს მამები შერჩებათ, ქვეყანას — მუშახელი. სიმღერე და დოვლათი ბევრი იქნების. უშიშობაი ცხოვრების სიტკბოს უკეთ გაგრძნობინებს!

პაპა ერთი წუთითაც არ მაშორებდა ღრმად ჩავარდნილ, ოდნავ მბჟუტავ ჭროლა თვალებს და ცნობისმოყვარეობა გაღვიძებული ისევ მეკითხებოდა:

— გაგაისი, კვლავაც ამბობენ მთვარეზე გაფრინდებიანო?

— ამბობენ, როგორ არ ამბობენ!

— მთვარეზე გაფრენაი განა საშიში არაა? — გაოცებული ამბობდა.

ვცადე ყველაფერი ამეხსნა. გაღიმებულმა შემომხედა და მკითხა, — შენაც ხომ არ აპირებ მთვარეზე გაფრენას?

— ვინატრებდი, ნამდვილად რომ ვინატრებდი! — მივუგე ხალისიანად.

— გაგაისი, ნატვრაი ჭაბუკობის ცეცხლია, ხოლო ჭაბუკობაი და გაბედულება ძმები არიან. მენაც მინდა გაბედულ იყო, გმირ იყო!

პაპა ჩემთან საუბრით გულს რომ მოიჯერებდა, [illegible], გარეთ გავიჭრებოდი. მეზობლებს მოვინახულებდი. მთების სილურჯეში სიცოცხლე ფრთებს ისხამდა — ბავშვობის სილაღე კვლავაც მიხმობდა; შეუჯდებოდი უბელო ქურანსა და, ჰაიდა, ჰა, დილის მიწყურებული [illegible] ჩავაქროლებდი, მოთიბულ [illegible]; წყაროსაკენ გავეჭრებოდი, სადაც შავრანა გოგონები თუნგებს ანკარა წყლით ავსებდნენ.

— გაგაისი, გაგაისი! — დანახვისთანავე მომაძახებდნენ.

— ჰაუ, ჰაუ!

— რაისთვი გაჯიორგულდი, რაისთვი?

— არც კი მიფიქრია, ჭაბუკობის მზემ!

— ჰაი, დაგიბრმავს თილი, როგორა იტყვები?

— მართალს ვამბობ, ქალაისი, აღარა ვტყუი!

— ჰაუ, ჰაუ!

— თუ გინდათ ყველას ერთად შეგიყვარებთ!

— ჰა, ჰა, ჰა! — გოგონების კარკალი ბზარავდა მთების მდუმარებას.

— რაისთვი იცინით? ჩემი გული ყველას სიყვარულს დაიტევს!

— გული გაგისკდების, გაგაისი, გული!

— მერედა, სიყვარული მალამოდ რად არ დაედება?

— სიყვარულ გულში არ გაქ და იმად!

— ჰაუ, ჰაუ, ქალაისი!

— ჰაუ, ჰაუ, გაგაისი!

ძახილი მთებში იფანტებოდა, ხოლო გოგონები სიცილით მიჰყვებოდნენ ბილიკებს.

ერთხელ ღვთისავარს ამგვარი სილაღობისათვის [illegible] მოუკრა. ქალაქში რომ ვბრუნდებოდი, იმ საღამოს მომიხმო.

— გაგაისი, — მითხრა მშვიდად. — ოჯახის შექმნა არა გწადია? შენი ტოლი ქალაი აღარსადაა? ქალაქი დიდია, რად ვერ ამოგირჩევია, თუ აქაური აღარა მოგწონს? რაიღაა მიზეზი? ჭაბუკობაი და სიყვარული, უძალმა უწყის, განუყოფელნი არიან. ურთიმანეთოდ არცერთი ვარგობს და აღარც მეორე.

— ვიცი, გამიგონია!

— ჰოდა, გულისწორს რაღად არ ეძებ? გაგვახარებდე, ბეჩავ გულს გამიხარებდე, ძეობას მამასწრებდე. ცოტანი ვართ გაგაისი, ცოტანი და უნდა ვიმრავლოთ, ვერც ემჯობინების. იცოდე, ოჯახი არ უნდა დაჩივდეს, ვაჟკაცი ოჯახის ჩირაღი უნდა იყოს!

ოდნავი ღიმილით მიცდია პასუხის გაცემა, მაგრამ ჩემი გულის საიდუმლოება მაინც ვეღარ გამიმხელია.

* * *

...სამშენებლო ტექნიკუმი დავამთავრე. მშენებელი გავხდი. მეგობრებთან ერთად თბილისს მეც რომ ვამშენებდი, ვალამაზებდი, [illegible] ტოლები [illegible].

ვერაზე, ქუჩის მთელ სიგრძეზე, ძველი სახლების წყება დავანგრიეთ. ახალი სახლების შენება დავიწყეთ.

სართული სართულს აწვა, — აწვდებით იგი ზევით, ცისაკენ მიიწევდა და მიიწევდა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე, ახალი სახლების გვერდით, ბევრის ორსართულიანი სახლი-ღა იყო დარჩენილი, სადაც ძველი მოსახლენი ცხოვრობდნენ.

ახლად აშენებულ ღუმელისებურ მრავალსართულიან სახლებს შორის ის საცოდავად მოჩუხჩული ჩანდა.

სახლს, ქუჩის მხარეზე, ორ ფანჯრის შუა მიკრული ჰქონდა ყვითლად შეღებილი და ალაგ-ალაგ მოვარდნილი პატარა რკინის აივანი.

დროდადრო აივანზე შავრანა გოგონა გამოდიოდა. თვალს გაუსწორებდი თუ არა, იმავე წუთს ოთახში შევიდოდა. აქ თითქოს უცხაური არაფერი იყო, მაგრამ რატომღაც კი შემაწუხა. შემაწუხა და გული დამიმძიმა. სხვა რა იყო? ალბათ.

ერთ დღეს შემომხედა თუ არა, გამიღიმა. გავუღიმე. ხელი დავუქნიე. მანაც ისევ გამიღიმა და გაქრა. ამის შემდეგ ღიად დატოვებული კარიდან გარკვევით მოისმოდა როიალის ხმა.

პირველად ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ შემდეგ კი იმ აზრმა რომ, ალბათ, ის უკრავდა, სულ სხვაგვარად დამატყვევა.

ვერ გამეგო, რატომ ხდებოდა ასე: რაც დრო გადიოდა, თვალი სულ იმ სახლისაკენ, იმ ღიად დარჩენილი კარისაკენ გამირბოდა, ხოლო გული საოცრად ტოკავდა და ელოდა უცნობი გოგონას გამოჩენას.

ეს შემამჩნიეს.

— ეჰ, გაგაისი! სიყვარულის ცეცხლით იწვი, არა? — მითხრეს გულღიად.

რაღა მეთქმოდა, მხოლოდ ღიმილით დავემოწმე.

ერთხელ, დასვენებაზე, ჩვენმა ბიჭებმა სიმღერა წამოიწყეს. მეც ავყევი. სიმღერა რომ დავამთავრეთ, გაღმიდან, იმ სახლის აივნიდან ტაშის ხმა მოგვესმა. ის გოგონა ტაშს გვიკრავდა. იღიმებოდა. ჩანდა სიმღერა მოსწონებოდა.

შევხედე. თვალი ჯიუტად გამისწორა. ახლა თვითონ თამამად დამიქნია ხელი და კვლავ სასიამოვნო ღიმილი [illegible].

ამ დღიდან მასზე ფიქრმა სული და გული წაიღო. გადავწყვიტე გამოველაპარაკებოდი. მიზეზიც გამოჩნდა. პაპიროსი ხელთ დავიჭირე და მისი აივნის ქვეშ დავდექი. ველოდი აივანზე მის გამოსვლას, მაგრამ ის არ ჩანდა.

ლოდინმა წუთები დაამძიმა.

ის იყო წამოსვლა დავაპირე, რომ გოგონა აივანზე გამოვიდა, მშენებლობას გასცქეროდა.

ოდნავ წინ გადავდგი ნაბიჯი. პაპიროსი გვერდზე გავწიე, რათა მას კარგად შევენიშნე და ალერსიანად ავძახე, თუ შეიძლება ასანთი ჩამომიგდე მეთქი.

მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ოთახში შევიდა.

აივანს მივაჩერდი.

ის აივანზე არ გამოჩენილა.

გამიკვირდა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ვინანე, ასე რად ავჩქარდი-მეთქი.

— ინებეთ! — შემომესმა ახლოს, სულ ახლოს.

გავიხედე: მას ასანთი ჩამოეტანა და ჩემს უკან დამდგარიყო.

გაშტერებული მივაჩერდი.

— რატომ შეიწუხეთ! — მოვუბოდიშე.

როგორ მინდოდა ისეთი რამ მეთქვა, რაც მოხიბლავდა.

განგებ ვაგვიანებდი პაპიროსისათვის ცეცხლის მოკიდებას. ვაკვირდებოდი მის თეთრ, ლამაზ სახეს. შავი თვალწარბი, საოცრად ამშვენებდა და ისე ჰქონდა ამოვლილი, როგორც გუდიაშვილის ნახატებში მინახავს.

— ასანთი გქონდეთ, დაგჭირდებათ! — მითხრა ალერსიანად.

მადლობა გადავუხადე.

ის, რაც უნდა მეთქვა და გონებაში გულმოდგინედ დავალაგე, ერთბაშად გაიფანტა და სულ სხვა რამეზე დავიწყე საუბარი.

— ხშირად მესმის თქვენი დაკვრა. მართალი გითხრა, ძალიან მომწონს თქვენი მუსიკა!

— ჩემი მუსიკა? — გაიღიმა, — განა, მე კომპოზიტორი ვარ?

უხერხულობა დავძლიე და ვცადე მეგრძნობინებინა, მუსიკაში ცოტა რამ მეც მესმის-მეთქი!

— მე ვგულისხმობდი თქვენს დაკვრას!

— თქვენ ხომ არ უკრავთ?

— მხოლოდ თეთრ კლავიშებზე! — გავუხუმრე.

— თუ ასეა, მაშინ შავ კლავიშებზე მე მოგეშველებით! — ღიმილით მიპასუხა.

— თუ ასე იქნა, ორივე ერთ სიმღერას შევქმნით!

— დიახ, ასე იყოს! — მხიარულად დამიდასტურა და გაფრინდა.

* * *

დღეები დღეებს მისდევდა, სართული სართულს ემატებოდა, მე კი რაღაც მაკლდებოდა.

ვგრძნობდი, ყველგან მიმზიდველი, სასიყვარულო და საოცნებო სიცოცხლე მყავდა ალანდული. მატკბობდა და მაწუხებდა, მაწუხებდა და მატკბობდა.

გამოკრთებოდა და, — ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მომანიჭებდა.

გაქრებოდა და, — სევდა მიპყრობდა.

გადავწყვიტე სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მენახა იგი, ყველაფერი მეთქვა.

მაგრამ...

ამ დროს, საუბედუროდ, სოფლიდან ელვა-დეპეშა მივიღე: პაპა ღვთისავარი ავად გახდა და ჩამოდით.

ცოცხალ-მკვდარს მივუსწარი. [illegible]: ენა წართმეოდა, ხელებს ვეღარ ამოძრავებდა. მის გამშრალ სახიდან ვერ ამოვიკითხე, ჩემი დანახვა ესიამოვნა თუ არა, მაგრამ ბევრის მთქმელი იყო გაშეშებული თვალებიდან წვეთ-წვეთად წამოსული ცრემლი. ვერც წამწამებს ახამხამებდა, ვერც წარბებს ამოძრავებდა. მხოლოდ თვალები, გაშეშებული თვალები, სავსე ცრემლითა და გამოუთქმელი სევდა-მწუხარებით, მანიშნებდა პაპას დღეები დათვლილი იყო.

— გაგაისი, კარგია ცოცხალს რომ მოუსწარ! — ჩაილაპარაკა კარის მეზობელმა ჯაჯლიამ, რომელსაც ბალღობიდანვე დღეები სიავკარგეში პაპასთან ერთად გაეტარებია და ერთიმეორისათვის მოსიყვარულე ძმებივით იყვნენ.

— გაგაისი, — კვლავ ჩურჩულებდა ჯაჯლია. — ჯავრის არ ჩაატანებდე საფლავშია, იმედად ეტყოდე რამესა, ეტყოდე!

პაპას მივუალერსე.

მისი ცივი თვალები უმოძრაოდ მიმზერდნენ. მინდოდა ამ ცივ გამოხედვას გავცლოდი, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძროდი.

— ახ-მეე! — მომესმა უცებ.

გამოვერკვიე. დედა ცრემლად იღვრებოდა. პაპას სული დალია.

...

მარტოდ დარჩენილი დედის ბედი მანაღვლიანებდა: ვინ მიხედავს, რომ გაუჭირდეს? ვინ ანუგეშებს მარტო დარჩენილს? მოიშალოს სახლ-კარი?

—მაგაზე ნუ გეფიქრების, ნუ! — მშვიდად მითხრა ჯაჯლიამ და დინჯად განაგრძო. — განა ბედშავ სალომეს ჩვენთან გაუჭირდების?

— ღვთისავარის ნანატრი დღეები, შენ მოგვმატებოდეს, გაგაისი, შენა! ბეჩავ სალომესა შენს შვილს მოასწრებდე და სიცოცხლეს მოუმატებდე. ოჯახს არ დააჩივლებდე! ოჯახის ჯანი ახალგაზრდაა. ოჯახი ნუ დაიჩივლების, თორემ ხალხის ჯანიც გატყდების! — სასიამოვნოდ მიეუღებდნენ მეზობლის სიტყვები.

— განა ქალა-შავა არჩეული არ გყავს? განა თვალი არავისზე დაგიდგამს? — ისევ მეკითხებოდა ჯაჯლია.

ჯაჯლიას სიტყვაზე შავრანა გოგონა თვალწინ წარმომიდგა. გულის ძახილს აკვეთე და დამაჯერებლად ვუთხარი — საცოლე თბილისში არჩეული მყავს და მალე ჩამოვიყვან-მეთქი. ჯაჯლიამ მოწონებით დამკრა ხელი მხარზე და სახე გაუბრწყინდა.

ჩემი ნათქვამი დედას გაანდო. ვატყობდი დედას გულში იმედის შუქი ჩაუდგა.

„აი წავალ თბილისში და ჩამოვიყვან-მეთქი, ასე ვთქვი, მაგრამ ის რას იტყვის, ეს ხომ არ ვიცი?" — გავიფიქრე წუხილად.

...

ჩემს სამუშაოს მივაშურე. გულის ცეცხლი და ჩემი ოცნება იქ მელოდებოდა.

ვხედავ, ჩემს აქ არყოფნაში ის ორსართულიანი სახლი, სადაც შავრანა გოგონა მთვარესავით გამოანათებდა, უკვე არ იყო — დაენგრიათ.

[illegible] — არ ვიცოდი საცხოვრებლად სად გადაიყვანეს, სად მეძიება? ვისთვის მეკითხა?

მე ხომ მისი არც სახელი ვიცოდი და არც გვარი. დავნაღვლიანდი.

მეგობრებმა ეს შეამჩნიეს.

— სახლს რომ ანგრევდნენ, ის სულ მშენებლობის წინ ტრიალებდა, ალბათ გვეძებდა, სათქმელი ჰქონდა რაღაც! — ასე მითხრეს.

განა მეც არა მქონდა სათქმელი?

გული უნდა გამეხსნა, შეუებებელი გრძნობისათვის გზა მიმეცა, მაგრამ [illegible].

მეგობრებთან ერთად შრომაში ვიკლავდი გულის ვარამს: სართული სართულს აბყვა ზევით, სულ ზევით — ცისაკენ, მზისაკენ, აქედან ახლა კარგად ჩანდა თბილისი.

დანგრეული ორსართულიანი სახლის ადგილზე ულამაზესი სკვერი გაეშენებინათ.

ვერ დავიმალავ, ამან ჩემში ერთგვარი წუხილიც კი გამოიწვია.

წუხილი რად უნდა გამოეწვია? ან რად: — გულში იმედად ერთი აზრიღა დამრჩენოდა: აქ რომ ახალი შენობა აშენდება, ის ენებ ყოფილი მოსახლეები აქვე ჩაასახლონ-მეთქი, მაგრამ ახლა უკანასკნელი იმედიც გაქრა, რა უნდა მექნა?

...

შემოდგომა ჩავიდოდა. ფოთოლცვენა დაიწყო. ახლავე ჩამოიძარცვა შავრანა გოგოს ნახვის იმედი.

[illegible], გრძნობა ცივი ქარივით შემებერა, თანაც ჯავრი სახლში მარტოდ დარჩენილ დედაზე [illegible] ღრღნიდა.

რამდენჯერ ჩავსულვარ სოფელში, დედა თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს არაფერი უჭირდა, ფუსფუსებდა, მოვლა-პატრონობაში ჯაფასა და წუხილს იკარგებდა, მაგრამ ვატყობდი მისი მარტოდ დატოვება უკვე აღარ შეიძლებოდა.

„არა, სოფელს უნდა დავუბრუნდე", — ვფიქრობდი.

ჯაჯლია კი ყოველთვის მეუბნებოდა — რაო, გაგაისი, საპატარძლო [illegible] ჩამოსულაი აღარ იკადრა? ხო არ მოსატყუვდი? ალბათ მოგეწყინა რო უყვარდი! აბა, რად არ გამოგყვა გაგაისი, რად? მართალს ეტყოდე შენს ჯაჯლიას, მართალს!

რა უნდა მეთქვა? ვერაფერი გავუმხილე. [illegible] ჩავთვალე.

ხანდახან დედაც კი მეტყოდა — მარტო მოხვედი. მეც ცივად ვპასუხობდი — ჰო მეთქი.

ეს იყო სევდა ტრფობის გაქრობის, უიმედო ძებნის და პირველი სიყვარულის გაცრუებისა, — სევდა მხრების ჩამომყრელი, შემაწუხებელი, გატაცების შემნელებელი.

ვცდილობდი მის უნახაობას შევგუებოდი, თუმცა ყოველთვის ვნატრობდი, — ნეტავ, სადმე შემხვედროდეს და მაშინვე ხელს ჩავავლებდი, არსად გავუშვებდი. ჩემთან ერთად იქნებოდა და იმხიარულებდა-მეთქი, ვფიქრობდი. მთის პატარძალად გავხდიდი.

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისური შთაბეჭდილებები

პაატა გუგუშვილი

ინგლისურ კულტურაში უელსელ მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა წვლილი ფრიად მნიშვნელოვანია. ჩრდილოეთ უელსის პატარა ქალაქ ლანგოლენს ყოველწლიურად იმართება მუსიკისა და ცეკვების უნიკალური საერთაშორისო ფესტივალი (რასაც აწყობს უელსის ეროვნული საზოგადოება „აისტედ ფოდი"), სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მეგობრულ შეჯიბრებაზე ჩამოდიან ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილი ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოსტატები, ტურისტები. ისინი მომავალ ფესტივალზე საბჭოთა ქვეყნებიდან წარგზავნილებსაც მოელიან.

დღეს უელსში ერთ მილიონზე მეტი კაცი თავის დედაენად ვალიურს თვლის, თუმცა თითქმის ყველა თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურადაც. ამგვარად, მათ არსებითად, ორი მშობლიური ენა აქვთ. ვალიურ ენაზე იბეჭდება გაზეთები, ჟურნალები, წიგნები. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც ინგლისურის პარალელურად დამკვიდრებულია ვალიური. საერთოდ უელსის ტერიტორიაზე (19,3 ათასი კვ.კმ) სამ მილიონამდე კაცი ცხოვრობს.

უელსი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ეროვნულ მუზეუმში გამოფენილია იდეალური არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და მხატვრული ექსპონატები. საბჭოთა მეცნიერების ჯგუფი მუზეუმის ადმინისტრაციამ დიდი პატივისცემით მიიღო. იმავე დღეს ამის შესახებ გაზეთში დაიბეჭდა ამ ჯგუფის ფოტოსურათი და ინფორმაცია, აქ იყვნენ „საბჭოთა მეცნიერები, ტექნოლოგები და ბიზნესმენებით".

კარდიფში, რომელიც ბრისტოლის უბეში მნიშვნელოვანი პორტია ყველაზე მეტი დრო უნივერსიტეტის (ყოფ. ტექნიკური კოლეჯის) გაცნობას მოვანდომეთ. ეს ახლა კომპლექსური, კეთილმოწყობილი და განშტოებული უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც აქვს მექანიკის, ფიზიკის, ქიმიური მრეწველობის, მშენებლობის, არქიტექტურის, კომერციის (ეკონომიკის), სოციოლოგიის, ფარმაციის, სავაჭროისა და სხვა ფაკულტეტები; უახლესი მოწყობილობებით და აპარატებით. უნივერსიტეტს აქვს ასპირანტურა, სადაც მაგისტრის წოდების მისაღებად ორი წლის განმავლობაში ნიჭიერი ახალგაზრდები მეცადინეობენ და სამწლიანი დოქტორანტურა.

კარდიფის ცენტრში, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ ახლად ყოფილა აშენებული, თავმოყრილია ქალაქის მუნიციპალიტეტი, მუზეუმები და ბევრი სხვა მშვენიერი ნაგებობა.

ჩვენი ჯგუფი „გზად გავლის წესით" ათვალიერებს პატარა, კოხტა ზღვისპირა ქალაქ ნიუპორტს, რომლის ერთ-ერთი ქუჩა დიდი სოციალისტ-უტოპისტის რობერტ ოუენის (1771-1858) სახელობისაა.

ბირმინგემში მიმავალ გზაზე „სულის მისათქმელად" შუასაუკუნეობრივი ციხე-სიმაგრის „რუგლან კასტლის" მწვანე ეზოში შევისვენეთ, თანაც ეს შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი დავათვალიერეთ.

1. სექტემბერს შუადღისას უკვე ბირმინგემში, ქალაქის ცენტრში, „არდენ ჰოტელში" მოვეწყვეთ.

ბირმინგემი ინგლისის უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ცენტრია. იგი ამ მხრივ უკვე მე-16-17 საუკუნიდან დაწინაურდა, რა დროიდანაც აქაური მრავალგვარი ლითონის, უპირატესად რკინის, ნაკეთობა გასცდა ინგლისის ფარგლებს, ხოლო მე-17-18 ს. ს. იგი თავისებურ „მსოფლიო სახელოსნოს" წარმოადგენდა და იარაღითაც ამარაგებდა, მაგალითად, ჯერ კიდევ ო. კრომველის ჯარებს. მაგრამ ბირმინგემი ცნობილი იყო წვრილი ნივთების — ბოქლომების, დანების, მაკრატლების, ლურსმნების, კალმების, ღილების წარმოებითაც.

ბირმინგემში მ. ბოლტონის ქარხანაში ჯ. უატმა შექმნა დაასრულებინა გენიალური გამოგონება — ორთქლის მანქანა. ვესტმინსტერში მისთვის აღმართული ძეგლი უსაფუძვლოდ როდი აცხადებს: „ჯეიმს უატს, რომელმაც თავისი შემოქმედი და ახალგაზრდობიდანვე მეცნიერულ კვლევა-ძიებაში გაწაფული სული მიმართა ორთქლის მანქანის სრულქმნისაკენ, ამ მანქანით, რამაც გააფართოვა მისი ქვეყნის ძალთა წყარო, გაადიდა ბატონობა ადამიანისა და გამოჩენილა მეცნიერების ყველაზე განთქმულ ადამიანთა და კაცობრიობის კეთილისმყოფელთა შორის თვალსაჩინო ადგილზე ამაღლდა".

ამჟამად ბირმინგემში დაახლ. 1,5 მლნ. მცხოვრებია. იგი რკინიგზათა და საავტომობილო არტერიების დიდი ცენტრია. აქ განვითარებულია უაღრესად თანამედროვე შავი მეტალურგია, ლითონდამუშავებისა და მანქანათმშენებლობის (ორთქლმავლები, თვითმფრინავები, ავტომობილები, მრავალგვარი დაზგა, ხელსაწყო, მოწყობილობა) მრეწველობა, რამაც დასაქმებულია სამრეწველო მუშების მთელი რაოდენობის ნახევარზე მეტი. იგი ამავე დროს დიდი ბრიტანეთის სამხედრო მრეწველობის ცენტრიც არის. აქაა გადაადგილებული კერძოდ ვიკერსის ფირმის ქარხნები და სხვ. ძლიერაც ფართო მასშტაბითაა მასობრივი მოხმარების ლითონის (რკინის, თუჯის, ფოლადის, ბრინჯაოს, სპილენძის, თითბრის, ალუმინის, ვერცხლის) ნაკეთობათა წარმოება; მაღალ დონეზეა ელექტროტექნიკური მრეწველობა, განსაკუთრებით ელექტრომოტორთა წარმოება, აგრეთვე ზუსტი ხელსაწყოთა, რეზინების (უფრო საბურავების), ქიმიური, ქაღალდის, პოლიგრაფიული, ხის დამუშავების, კვების მრეწველობა, ძვირფასი ქვების (ალმასის) დამუშავება და სხვ.

ბუნებრივია, რომ ასეთი ქალაქი, იმავე დროს არის ინგლისის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ბირმინგემში უნივერსიტეტი და ბევრი სპეციალური ტექნიკური კოლეჯი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა და მეცნიერებისა და კულტურის სხვა დაწესებულებაა.

IV

ბირმინგემში არაერთი სასიამოვნო და მნიშვნელოვან შეხვედრასა და მიღებებს ისიც დაერთო, რომ საბჭოთა მეცნიერების ჯგუფისათვის აუდიენცია დანიშნა ქალაქის ლორდმერმა.

მუნიციპალიტეტის დიდ დარბაზში მერი თავისი ცოლითა და უახლოესი თანამშრომლებით შეგვხვდა.

ამ მსხვილი ინდუსტრიული ქალაქის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, თვით ქალაქის გამგეობის, საერთაშორისო ურთიერთობათა, წინასაარჩევნო კამპანიის და სხვათა შესახებ კარგა ხანს გაგრძელებულ საინტერესო საუბარს მშვენივრად ამოკლებდა თითქოს და პაუზებად ჩართული სასმელები, ტკბილეულობა, ჩაი, ყავა და სხვ. მერი დიდ დაინტერესებას იჩენდა საბჭოთა ქალაქების მმართველობის სისტემის, საბინაო პირობების, მომარაგების, ტრანსპორტისა და სხვ. საკითხებისადმი.

ეს დარბაზობა დასრულდა ქალაქის მუნიციპალიტეტის მუზეუმის (ფერწერის გალერეის) დათვალიერებით.

* * *

ჩვენ გვირჩიეს დაგვეთვალიერებინა ქალაქის ცენტრის სამხრეთით რამდენიმე მილის დაშორებით მდებარე „ახალგაზრდობის ქალაქი". აქ 80 აკრზე გაშლილია მშვენიერი პარკი — ტბებით, ბაღებით, ვარდყვავილნარებით, მრავალგვარი გასართობებით. ჩვენ აქ თავაზიანად დაგვხვდნენ, გვიჩვენეს ალბომები, სადაც მშენებლობის მიზანდასახულება და მისი სხვადასხვა ობიექტის ნახაზები, ფერადი სურათები, პროექტები, მოსაზრებებია წარმოდგენილი.

როგორც აქედან ჩანს, „კენონ ჰილის ტრესტის" ინიციატორებად გამოსულან როგორც კომერციისა და მრეწველობის საქმოსნები (თუმცა ისინი საკუთრივ მოღვაწეებს, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების პროფესორების შემდეგ არიან მოხსენიებული) ისე სკოლების მასწავლებლები, სოციალური სამსახურისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების აქტივისტები, რომელთაც ეკისრებათ ტრესტის საქმიანობა.

ტრესტის ინიციატორები ხედავენ, რომ მთელი მსოფლიოს ცხოვრება, განსაკუთრებით კი მიდლენდსისა (ცენტრ. ინგლისისა) გასაოცარი სისწრაფით იცვლება. „ავტომატიზაცია, განვითარება და რეკონსტრუქცია შეეხება ჩვენი ცხოვრების ყოველ ასპექტში... მრეწველობისა და ტექნიკის მეცნიერული განვითარება ჩვენს გარშემო ყველაფრის ფორმას უცვლის... ჩვენ მალე ვიცხოვრებთ შეცვლილ, ახალ შესაძლებლობათა მსოფლიოში". ასეთ ვითარებაში ეს ტრესტი იმისათვის დაარსდა, რათა „ახალგაზრდობას ადრეული წლებიდანვე გააცნოს ნამდვილი მუსიკა, თეატრი, სახვითი ხელოვნება და ყოველივე ეს მას მიაწოდოს უმაღლესი ხარისხით, საუკეთესო პირობებში, გართობისა და ხალისიანების ატმოსფეროში". აქ „დამკვიდრდება „ახალი ტიპის ხელოვნების ცენტრი, რომელიც მოემსახურება ახალგაზრდობის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს".

„კენონ ჰილის ტრესტი" უმთავრესად მიიზიდავს ხუთიდან ოცდახუთ წლამდე ასაკის ბავშვებს და ახალგაზრდებს. ცენტრის მოსახლეობა დღის განმავლობაში იცვლება. დილის და შუადღისას მომეტებულად აქ იწვევიან ბავშვები, ხოლო საღამოობით — მოზარდები, ყმაწვილები, რომლებიც დასაქმებული დროის უდიდეს ნაწილს გაატარებენ თეატრში, საკონცერტო დარბაზში, კინოსა და სამხატვრო გალერეაში, სადაც მათ უხელმძღვანელებენ ხელოვნების ამ დარგთა პროფესიონალი მუშაკები. აქ იწარმოებს კვლევა-ძიება ბავშვების, ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო გზების აღმოჩენისა და გატარებისათვის.

ჩვენ ამ მშენებლობაზე ვნახეთ სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები. გვითხრეს, რომ გარდა თვით ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებისა, მუშაობაში უკვე მონაწილეობა მიიღეს ოციოდე სხვა სახელმწიფოს ახალგაზრდებმა. აქ ვნახეთ მათი ინტერნაციონალური ბრიგადები, გოგონები და ვაჟები, რომლებიც სპეცკოსტიუმებში — წერაქვით, ნიჩბით, ქაფჩით, ჩაქუჩით და სხვა იარაღებით ხელწაკაპიწებულნი მუშაობდნენ ერთ-ერთი შენობის საძირკვლის ჩაყრაზე.

ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ძნელია ითქვას, თუ რა სახეს მიიღებს საბოლოოდ ეს საქმე, ნაკლებად თუ დასცილდება ინიციატორთა თავდაპირველი ჩანაფიქრის ფარგლებს და ხომ არაა ის ერთგვარი უტოპიური ანდა წმინდა საქმოსნური წამოწყება, რაც, როგორც ორიგინალური ბიზნესი, სულ სხვა მიზნებს ისახავს, ვინემ ამას მეცენატის როლში გამოსული „კენონ ჰილ ტრესტი" აცხადებს.

სტრატფორდში — შექსპირის ადგილებში — დაუვიწყარ შთაბეჭდილებათა ერთი დღე გავატარეთ. ეს ქალაქი, ეივონის სტრატფორდი, მთლიანად შექსპირით ცხოვრობს. აქ, რასაც კი გვიჩვენებენ, ყველაფერი უშუალოდ უ. შექსპირის სახელთან არის დაკავშირებული. ძნელია კაცმა დაასახელოს სხვა ასეთი პატარა ქალაქი (15 ათასი მცხოვრებით), რომელიც ესოდენ მიმზიდველი იყოს მსოფლიოს ყველა კონტინენტის ადამიანთათვის, — გარეშე ყოველგვარი რელიგიური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესისა. ხალხები, რომლებიც ინგლისისგან საუკუნეების მანძილზე განიცდიდნენ კოლონიურ ექსპლოატაციას და ნაციონალურ ჩაგვრას და რომლებიც ზიზღით უყურებენ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივ აპარატსა და მის დაწესებულებებს, ისე მიდიან სტრატფორდში, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანები — იერუსალიმში, მუსლიმანები — მექაში, რათა ქედი მოიხარონ და თაყვანი სცენ უილიამ შექსპირის მარადიულ გენიას.

სტრატფორდ-ონ-ეივონი, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარული ტურისტული ცენტრია ინგლისში.

სტრატფორდში, ჰენლი-სტრიტზე, პატარა სახლში, სადაც 1564 წ. შექსპირი დაიბადა, გახსნილია მუზეუმი, აქ თავმოყრილია მწერლის თხზულებათა პირველი გამოცემები და მის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ნივთები. აქ გამოფენილია ჩვენს დრომდე მოღწეული რომელიღაც მისი თანამედროვე მხატვრის მიერ შესრულებული შექსპირის ერთადერთი პორტრეტი.

აქვე, წმ. სამების ტაძრის საკურთხეველშია დამარხული (1616) შექსპირი. მის საფლავის ქვაზე ამოკვეთილია სიტყვები, რაც, გადმოცემის თანახმად, თვით შექსპირის მიერ დატოვებულ ეპიტაფიას წარმოადგენს: „კეთილო მეგობარო, თუ ქრისტე გწამს, ნუ შეაწუხებ აქა მდებარე ნეშტს. კურთხეულ იყოს ადამიანი, რომელიც შეიწყალებს ამ ქვებს და წყეულ იყოს ის, ვინც შეაწუხებს ჩემს ძვლებს".

მდ. ეივონის ნაპირას 1932 წ. გაიხსნა „შექსპირის მემორიული თეატრი", სადაც ყოველწლიურად მარტ-ოქტომბრის განმავლობაში იმართება შექსპირის ფესტივალი — გენიალური დრამატურგის პიესებში გამოდიან ინგლისური სცენის ყველაზე გამოჩენილი ოსტატები. შექსპირის გამოფენა წარმოადგენს ოთხავ-განათებულ სცენებს, სადაც უშუალოდ ისმის გრამფირფიტებზე ჩაწერილი მოქმედ პირთა სიტყვები. ყველა დარბაზი სავსეა ხალხით, რომელთა შემადგენლობა ნელ-ნელა, როგორც სამლოცველოში, უხმაუროდ იცვლება. რატომღაც გეჩვენება, რომ არ არის საჭირო ინგლისურის ცოდნა, რათა გაიგო, თუ რა პიესა და სახელდობრ რომელი მოქმედება მიდის სცენაზე. ეს — ჰამლეტია; ეს — ოტელოა, ეს ხომ ფოლსტაფის სიტყვებია, ეს — რომეოსა და ჯულიეტას გულსაკლავი დიალოგია, ეს — ლედი მაკბეტის, ეს — იულიუს კეისრის მონოლოგებია.

სტრატფორდში მდ. ეივონის ნაპირას 1888 წ. აღმართულია შექსპირის ძეგლი, რომლის გარშემო ოთხკუთხედის ბოლოებში დგანან მისი გმირები: ლედი მაკბეტი, პრინცი ჰალი (ჰენრი), ჰამლეტი და ფოლსტაფი. ბრინჯაოს ჯგუფის ავტორია რონალდ გოუერი.

ჩემი ყურადღება რატომღაც უფრო ჰამლეტისა და ფოლსტაფის ქანდაკებებმა მიიპყრო. ესენი უფრო დინამიკური ფიგურებია. თითქოს და კვარცხლბეკზე კი არა, სცენაზე არიან და, აი-აი არის, ალაპარაკდებიან.

მშვენიერი მზიანი დღე იდგა. სხვადასხვა რასის აჭრელებული ხალხი ირეოდა ქუჩებში, მოედნებზე — მდინარის და არხის ნაპირებზე. შუასაუკუნეობრივ გალერეის, გამოფენის, შექსპირის მემორიალური თეატრის, ძეგლის გარშემო. თუმცა კარგა ხანმა განვლო მას მერე, რაც აქ და მთელ მსოფლიოში დიდი ზეიმით აღინიშნა შექსპირის დაბადების 400 წლისთავი, მაგრამ ახლაც ყველგან გამოკრულულია სათანადო სუვენირები, საფოსტო მარკებითა და სულ უბრალო ნივთებით დაწყებული, შექსპირის ძვირფასი გამოცემებით დამთავრებული.

* * *

4 სექტემბერს დილაადრიან მივდივართ ოქსფორდში. გაზეთების გადათვალიერებას მხოლოდ გზაზე, ავტობუსში თუ მოვასწრებთ. დილის გაზეთი „ბირმინგემ პოსტი" იუწყება, რომ გუშინ ქ. ედინბურგში დედოფალსა და მის მეუღლეს ჰერცოგს ხამი კვერცხი ესროლეს და, რომ, სამწუხაროდ, მათ არ იციან ამის მიზეზი; გაცხარებული წინასაარჩევნო კამპანიაა. კონსერვატორები და ლეიბორისტები ფრიად „ამკობენ" და „ალამაზებენ" ერთმანეთს.

ქ. ოქსფორდი ოქსფორდშირის საგრაფოს ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. აქ განვითარებული ბევრი მრეწველობის დარგთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტომობილების, თვითმფრინავთა და მოტოციკლეტთა წარმოება. მაღალ დონეზეა დაყენებული პოლიგრაფიული მრეწველობა. აქ მუშაობს მსხვილი გამომცემლობები და სტამბები, რომელთა პროდუქცია ცნობილია წიგნის მსოფლიო ბაზარზე.

მაგრამ ოქსფორდი (დაახლ. 100 ათასი მცხოვრები) ყველაზე უფრო განთქმულია თავისი უნივერსიტეტით. აქ ჯერ კიდევ 1050 წ. არსებობდა მაღალი ტიპის სასწავლებელი, ხოლო უნივერსიტეტი XII ს. დაარსებული. ამჟამად იგი აერთიანებს ოციოდე ფაკულტეტსა და ოცდაათამდე ავტონომიურ კოლეჯს, რომლებშიც 7 ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

კოლეჯთა უმრავლესობა ძველი, შუასაუკუნეობრივი არქიტექტურის შენობებშია მოთავსებული. ეს შენობები და საერთოდ უნივერსიტეტის მთელი კომპლექსი ქალაქის ცენტრშია. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ფრიად საინტერესო და თავისებურია, მაგალითად, მერტონისა (1264 წ.) და მაგდალინას (1458 წ.) კოლეჯები, რადკლიფის ბიბლიოთეკის შენობა (XVIII ს.).

უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი კოლეჯის (XIII ს.) შენობას ვათვალიერებთ და ყველაფრიდან ჩანს რომ აქ გულმოდგინედ ცდილობენ ძველ ნაგებობათა დაცვას. შენობათა ზოგ ნაწილებს დროდადრო ოდნავ „აახალგაზრდავებენ". დაცულია — ძველისძველი მერხები, მაგიდები და სხვა ინვენტარი.

მეცნიერი თანამშრომელი — გიდი გვაცნობს უნივერსიტეტის სტრუქტურას. ოქსფორდის, და ამის მსგავსად აგრეთვე კემბრიჯის (— 17 კოლეჯი) უნივერსიტეტთა კოლეჯების დამოუკიდებლობა უკიდურესად შუასაუკუნეობრივ სტატუტებს ემყარება. არარაციონალური პარალელიზმის აღმოფხვრა ძნელდება. თითქმის ყოველი კოლეჯი ამაყობს თავისი ძველი თუ ახალი ვარსკვლავით. მაგალითად, აქ სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ მსოფლიო სახელის მქონე ადამიანები ჯონ ლოკი და ადამ სმიტი, ისააკ ნიუტონი და ჩარლზ დარვინი, და ასეთ სახელებს კოლეჯები ზოგჯერ ფარად იყენებენ ძველი და მოძველებული წესების დასაცავად, თავიანთი ადრინდელი სტრუქტურის შეუვალობისათვის.

ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სტუდენტები უმთავრესად არისტოკრატიული და ბურჟუაზიული წრეებიდან არიან გამოსულნი, რაც, ცხადია, თავისებურ ბეჭედს ასვამს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების ამ ცენტრების მთელ მოღვაწეობას. ოქსფორდის უნივერსიტეტში სავალდებულო არ არის სტუდენტის ლექციებზე დასწრება. დაწესებულია მხოლოდ კვირაში ერთხელ, ერთი საათით, ყოველი სტუდენტი ცალ-ცალკე მიდის თავის პროფესორთან, რომელიც ამოწმებს მის აკადემიურ წარმატებას და აძლევს საჭირო რჩევა-დარიგებას. მთელ დანარჩენ სამუშაო დროს, წესისამებრ, სტუდენტი ატარებს ლაბორატორიებსა, ბიბლიოთეკებსა და ლექციებზე, რომელთა მოსმენაც მას მოესურვება, ანდა თავის სახლში — საკუთარ დამოუკიდებელ მეცადინეობაში.

მე, როგორც ბიბლიოთეკარს, არ შემეძლო არ დამეთვალიერებინა, კერძოდ, ოქსფორდის უნივერსიტეტის მთავარი წიგნსაცავი — ბოდლეანის განთქმული, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი (XIII ს.) და უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომლისგანაც ზოგიერთი ჩემთვის ფრიად საინტერესო გამოცემა მიმიღია თბილისში.

V

4 სექტემბრის საღამოს ისევ ლონდონის ქუჩებში დავდივართ. მალე დიდი, ხმაურიანი ქუჩებიდან პატარა ქუჩაზე გადავედით. ვფიქრობ, ვინ იცის, იქნებ სადმე აქ 1868 წ. კ. მარქსთან ერთად ნ. ნიკოლაძე სეირნობდა. მახსენდება ამ შეხვედრის ერთი ეპიზოდის ამსახველი მხატვარ ა. ვეფხვაძის ნამუშევარი, რაც გამოვაქვეყნე ქართულად და რუსულად გამოცემულ მონოგრაფიაში: „კ. მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში".

5 სექტემბერს დილით პარლამენტის დასათვალიერებლად მივდივართ. ეს შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი ზედ მდ. ტემზის ნაპირზეა აღმართული. პარლამენტის მოედანზე, ვესტმინსტერის სასახლის შესავალთან გველის არაჩვეულებრივი გიდი. ეს გახლავთ ინგლისის პარლამენტის წევრი ჰ. კინგი.

პარლამენტის ეს არქიტექტურული ანსამბლი აშენებულია 1834-1852 წლებში გამოჩენილი ხუროთმოძღვრის ჩარლზ ბერის პროექტით, იქ, სადაც იდგა ძველი სასახლე, რომლისგანაც ხანძარს გადაურჩა მხოლოდ ვესტმინსტერ-ჰოლი, აშენებული 1097 წ. უილიამ წითურის მიერ.

ვესტმინსტერის სასახლეს ამკობს სპეციალური კოშკი უზარმაზარი საათით, რომელსაც „ბიგ-ბენს" (დიდ ბენს) ეძახიან (მისი მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბენჯამინ ჰოლის სახელის მიხედვით). საათს ზემოთ მოთავსებულია პროჟექტორი, რომელიც პარლამენტის სხდომის დღეებში დაისიდანვე ენთება. დილის სხდომების დროს ვიქტორიის კოშკზე აღმართულია ინგლისის ეროვნული ალამი.

მეორე მსოფლიო ომის დროს სახაერო თავდასხმისას პარლამენტის სასახლე საკმაოდ დაზიანდა. თემთა პალატის სხდომების დარბაზი მთლიანად დაინგრა. მისი აღდგენითი სამუშაოები მხოლოდ 1959 წ. დასრულდა.

(გაგრძელება იქნება)

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველოს" 1964 წლის №№ 48, 49, 50, 52.

# აფხაზეთსა და აჭარაში

## სოხუმის თეატრის ახალი დადგმები

ამ დღეებში აფხაზური დრამის კოლექტივმა მორიგ პრემიერად მაყურებლებს ცნობილი თურქი დრამატურგის ნაზიმ ჰიქმეთის პიესა „ახირებული" უჩვენა.

პიესა დადგა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნიკოლოზ ჩიქოვანმა. სპექტაკლი გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჰაიკ მარტიროსიანმა.

მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები შ. ფაჩალია და ლ. კასლანძია, მსახიობები: ე. კოლონია, ნ. კამკია, ხ. საქანია, შ. გიცბა, მ. ზურბა, ი. ლაგვილავა და სხვები.

აფხაზურ სცენაზე დასადგმელად მზადდება აგრეთვე ოსი დრამატურგის მ. შავლოხოვის კომედია „სასიძო", რომლის დადგმაზე მუშაობს საქართველოს სახალხო არტისტი, რეჟისორი შარახ ფაჩალია.

* * *

**ქართული** დრამის კოლექტივი ამჟამად სამ ახალ დადგმას ამზადებს. ახალგაზრდა რეჟისორი ი. მრევლიშვილი მუშაობს ი. ჰაშეკის რომანის „გულადი ჯარისკაცი შვეიკის" დადგმაზე, რომლის სცენური კომპოზიცია თვით დამდგმელ რეჟისორს ეკუთვნის.

შვეიკის როლს ასრულებს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მსახიობი შოთა გაბელაია.

დასადგმელად მზადდება ოთარ ჩხეიძის პიესა „მამაო თეოდორე". დადგმას განახორციელებს აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სულიკაშვილი.

დიდ ინტერესს იწვევს დრამატურგ ლ. კრუჩკოვსკის ახალი პიესის („თავისუფლების პირველი დღე") ქართულ სცენაზე დადგმა, რომელზეც მუშაობს მთავარი რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე.

ნ. მიქაშავიძე

## ახალი სპექტაკლი

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატულმა თეატრმა ამ დღეებში მაყურებლებს უჩვენა გ. ფიგეირედოს კომედია „მელია და ყურძენი".

დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინასარიძემ. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა. სპექტაკლში მონაწილეობენ აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. გოგიბერიძე, მსახიობები ნ. ხინიკაძე, ლ. ყარახაშვილი, ბ. ინწკირველი და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

## სურათების გამოფენა

აჭარის ხალხური შემოქმედების სახლში გაიხსნა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების მოძრავი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატთა მიერ ამ უკანასკნელ წლებში შესრულებული ფერწერული სკულპტურული და გრაფიკული ნაწარმოებები. მათ შორის — ლ. გუდიაშვილის „მეხტვირის დალოცვა", ა. ქუთათელაძის „გიორგი სააკაძე ბრძოლის წინ", ვ. თოფურიძის ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი, ხ. კანდელაკის ქანდაკება „სოციალისტური შრომის გმირი", საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რ. სტურუას „ქალიშვილის პორტრეტი", აგრეთვე აჭარაში მომუშავე მხატვრების შ. ხოლუაშვილის, შ. ზამთარაძის, თ. ქალანდაძის და სხვათა ნაწარმოებები.

## შეხვედრა მოსწავლეებთან

ამ დღეებში მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს აჭარაში მომუშავე მწერლებს — ნ. მალაზონიას, მ. ვარშანიძეს და შ. როყვას. სტუმრებმა მოსწავლეებს გააცნეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები.

ქ. მჟავია

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ამასწინათ მაყურებელს უჩვენა ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მწირი". სურათზე: სცენა ბალეტიდან. ფოტო მ. როსტიაშვილისა.

# კეთილშობილური საქციელი

ამ დღეებში ლიტერატურულმა მუზეუმმა შალვა დადიანის მეუღლის ნინო დადიანისაგან უსასყიდლოდ მიიღო ძვირფასი სამუზეუმო ფონდი, რომელიც შეიცავს: მწერლის უნიკალურ ხელნაწერებს, იკონოგრაფიულ ძეგლებს, ძვირფას მემორიალურ ნივთებს, მიმოწერას და მდიდარ ბიბლიოთეკას.

აქ არის სარედაქციოდ მომზადებული, გადაბეჭდილი და შ. დადიანის ხელითვე ნასწორები პიესები: „შერავანდიდი", „გეგეჭკორი", „ალი ავარდა", „ჭანყო", „რუსთაველი", „ძირტკბილა", „ბატონი და ყმა", „პუშკინი საქართველოში", „კულუმბერი", „თეთნულდი", „არაფერიც არ იქნება", „ორი თესლი", „ჰქა მაგას", „პატარა კახი", „იდეა გაიმარჯვებს", „მოლა ნასრედინი", „ბოთე კუხიანა", „განგაში", „გულის თქმა" და სხვ. მუზეუმმა მიიღო შემდეგი რომანების, მოთხრობებისა და ნარკვევების ავტოგრაფები: „ურდუმი", „მგელიკა", „მაყრული", „ლია კარი", „ა. ოსტროვსკის ცხოვრება და შემოქმედება", „სამგორი", „საბირი", „ილიას შესახებ", „გალაკტიონის საღამოზე", „ნორჩო თაობავ", „ანგარიშის ჩაბარება", „უსათაურო" და სხვ. აგრეთვე შ. დადიანის ნათარგმნი პიესები და მოთხრობები: ნ. ჰიქმეთის — „ლეგენდა სიყვარულზე", გ. კორნიის — „მუსიკის მოყვარული", ტ. დემილინის — „მზაკვრობის დედოფალი", ა. ჩეხოვის — „ალუბლის ბაღი", ა. ცეხარსკის — „ივან გროზნიე", ვერკორის — „სილვერის ვენერა", ვ. ჰიუგოს — „ცა მოწმენდილზე", ალ. ტოლსტოის — „ბრიყვები" და სხვ.

მემორიალური და იკონოგრაფიული ფონდიდან ყურადღებას იქცევს მწერლის შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი, ჩიბუხი, ვერცხლის საათი წარწერით (ტასო აბაშიძის ნაჩუქარი), მაგიდის საათი, საწერი მაგიდა და მისი მოწყობილობა (სამელნე, საკალმე, ვერცხლის კალმისტარი, საპაპიროსე), ფაიფურის სურები შალვა დადიანისადმი მიძღვნილი წარწერებით, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან საიუბილეოდ მირთმეული ალბომები ფოტოსურათებით და საიუბილეოდ მირთმეული სხვა ძვირფასი ნივთები წარწერებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერლის სხვადასხვა საღამოებსა და იუბილეებზე გამოსვლების კინოკადრი.

გარდა ხელნაწერებისა და მემორიალური ნივთებისა, მუზეუმს გადაეცა ხეზე ამოკვეთილი ბარელიეფი შალვას პორტრეტით და წარწერით, სხვადასხვა მოქანდაკეთა მიერ შესრულებული შალვა დადიანის ბიუსტები, ნიკო დადიანის პორტრეტული ქანდაკება, პოეტ ხარიხაძის ბიუსტი, რომელიც შ. დადიანისათვის მიურთმევია იაკობ ნიკოლაძეს, სხვადასხვა ავტორების მიერ ზეთისა და აკვარელის ფერებით შესრულებული შალვა დადიანის პორტრეტები და სხვ.

მუზეუმს გადმოეცა შალვა დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოდოკუმენტები.

ნინო დადიანმა მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა აგრეთვე შალვა დადიანის მთლიანი ბიბლიოთეკა (უნიკალური წიგნები), რითაც დიდად გამდიდრდა როგორც ხელნაწერთა, იკონოგრაფიული და მემორიალური განყოფილებათა ფონდები, ისე მუზეუმთან არსებული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდი.

ჩვენი სასიქადულო მწერლის მეუღლე ნინო გრიგოლის ასული დადიანი, რომელმაც ძვირფასი და შესანიშნავი სამუზეუმო ფონდი უსასყიდლოდ გადასცა მუზეუმს, დიდი მადლობის ღირსია.

**დავით შულიაშვილი,**
საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

## მიეძღვნა მწერლის ხსოვნას

**შესრულდა** მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და ექიმის დიმიტრი კონსტანტინეს-ძე ერისთავის გარდაცვალებიდან ორმოცი წელი.

1894 წელს ქუთაისში დაიბეჭდა დ. ერისთავის პირველი წიგნი „ნაკვეთები". მასვე ეკუთვნის მოთხრობა „ვისი ბრალია", რომლითაც მწერალი ხმას იმაღლებდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ალ. წულუკიძე დ. ერისთავის მოთხრობებს და კერძოდ ამ ნაწარმოებს განიხილავდა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის", ლალიონის „ფირალი დავლადასი" და ე. ნინოშვილის მოთხრობების გვერდით. ამათ გარდა, აღსანიშნავია დ. ერისთავის მოთხრობა „ნაწყვეტი დაუსრულებელი რომანისა", პიესა „რღვევა" და სხვ. ამავე დროს დ. ერისთავი იყო შესანიშნავი მკურნალი, რომელიც მუდამ ხალხში ტრიალებდა.

დ. ერისთავის ხსოვნას მიეძღვნა მახარაძის სარაიონთაშორისო გაზეთ „ლენინის დროშის" ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის გაფართოებული სხდომა, რომელიც გახსნა გაზეთის რედაქტორმა ა. გურგენიძემ. მოხსენება წაიკითხა გ. პელიძემ. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ტ. ღლონტი, ვ. სერელი, ბ. გოგოტიშვილი, გ. ქუთათელაძე, ნ. წიტაიშვილი, ქ. მგელაძე.

აქვე იყო გამოფენილი დ. ერისთავის წიგნები, უცნობი ხელნაწერები და ფოტოდოკუმენტები.

გ. ქუთათელაძე

## სტუმრად სტუდენტებთან

ამ დღეებში შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო ქართული კინოხელოვნების მუშაკებს.

სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ აგრონომიული ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე დოც. დ. დოლიძე, დოც. ი. მოსიაშვილი, პროფ. ი. ალექსიძე, დოც. ა. გაბუნელიძე. სტუდენტთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ნ. გოგოშელიძემ, ნ. მაღლაფერიძემ და სხვ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სპარტაკ ბაღაშვილმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლეილა აბაშიძემ მადლობა გადაუხადეს ინსტიტუტის კოლექტივს გულთბილი შეხვედრისათვის.

დასასრულ ნაჩვენები იქნა კინოსურათი „თეთრი ქარავანი".

დავით შიშნიაშვილი

# ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"



**იოსებ გრიშაშვილი — თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტომი IV.** (ლიტერატურული წერილები. შეიცავს გამოკვლევებს: ქართული რომანტიზმის სათავეებთან, ქართველ და მოძმე ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობანი, დაუწყებელი და გამორჩენილნი, დოკუმენტები და შენიშვნები). რედაქტორი — ე. ჯავახაძე, მხატვრული რედაქტორი — გ. ქუთათელაძე. გვ. 410, ფასი 1 მანეთი და 19 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

**ნიზამი განჯელი — ხოსროვი და შირინი.** (თარგმანი ამბაკო ჭელიძისა. რედაქცია, შესავალი წერილი, განმარტებები და ლექსიკონი მაგალი თოდუასი). მხატვარი — ლადო გუდიაშვილი. გვ. 498, ფასი 1 მანეთი და 75 კაპ.

**სერგო კლდიაშვილი — „ფერფლი".** (რომანი). რედაქტორი — რ. მარგიანი, მხატვარი — გ. კალაძე. გვ. 210, ფასი 31 კაპ.

**სომერსეტ მოემი — „სიგიჟე ერთი ღამისა",** (რომანი, მოთხრობები, თარგმნილი ს. გუმაზაშვილის, ა. ჰეიმელისა და ა. გახოკიძის მიერ). რედაქტორი — ც. ჩხეიძე. გვ. 320, ფასი 92 კაპ.

# ტრფიალი

(დასასრული)

მაგრამ ნატვრა ნატვრად რჩებოდა.

ღვთისავარის სიკვდილის შემდეგ ოჯახს ჩემგან მეტი მოხმარება უნდოდა. ჰოდა, მეც ახლა გული იქითკენ მიმიწევდა. ისიც ვიცოდი, — ჩვენთან კულტურის სახლის მშენებლობა დაიწყეს, სოფელი ხარობდა და მინდოდა იქ მემუშავა, აქაც ჩემი წვლილი შემეტანა. ყოველივე ამან გადამაწყვეტინა სოფელს დავბრუნებოდი.

მაგრამ რა დასამალია, გულზე დარდად მაწვა თბილისის დატოვება და იმისი გაქრობაც, ვინც ჩემი ტრფიალი იყო; ვერ გავიგე, რა ძალა იყო ისეთი, რომელიც მაფრანა გოგონასადმი ჩემი ტრფობის ცეცხლს თანდათან აძლიერებდა, თუმცა ვიცოდი მას ვერსად შევხვდებოდი. თანაც ისიც მაოცებდა — ყველგან, მშენებლობაზე თუ ნაცნობ ბიჭებთან, ყველგან ვხვდებოდი მაფრანა გოგონაზე უფრო ლამაზებს, მაგრამ გული მათკენ არ მიმიწევდა, არცერთი მათგანი ჩემი ტრფიალი არ გამხდარა.

და აი, საბოლოოდ გადავწყვიტე სოფელს დავბრუნებოდი. შელურჯებულ მთებზე თუ ჩანჩქერიან ხეობებში მიმავალს იმ ერთი ციცქნა გოგონას ტრფიალის ცეცხლი მაინც არ მშორდებოდა.

მოღრუბლული იყო. სოფელს რომ მივაღწიე.

მთები ნესტიან ღრუბლებს შეეფუთნა. წვიმდა.

მთებზე შეფენილ, შორიშორ დაფანტულ სოფლებიდან ნაგაზების ყეფა ცივად ბზარავდა სიჩუმეს, ხოლო ვიწრო ხევებში თუ ნაძვნარებიდან დაქანებულ ფერდობებზე ადიდებული ნაკადულები საოცარი ჩქეფითა და ხმაურით აყრუებდნენ მიდამოს.

სახლი გამოკეტილი დამხვდა.

დედა არსად ჩანდა.

უცებ ჯაჯლია მილეული ლანდივით წინ ამეყუდა.

— გაგაისი, კარგია რომ მოხვედი, კარგი! — წაილაპარაკა და შეწუხებული სახით სახლის გასაღები გადმომცა. — ოჯახს შენი მარჯვენაი სჭირდებოდა!

გავიფიქრე: ჩვენი სახლის გასაღებს ჯაჯლიასთან რა უნდოდა?

ჯაჯლიამ თქვა: გუშინ ფურლვა უნდა დაგვეკლა, რაღაც ეჭამა, კვდებოდა. სალომეს ფურლვას დაკვლაზე უარი უთქვამს. ფურლვას გადაგდებულ თავს თვალცრემლიანი უტრიალებდა, მაგრამ ვერაფერი უშველა. ბოლოს ფერმაში მანქანით წაიყვანეს. იქ ვეტექიმი თამარ თვაური შეხვდა. სალომე ახვეწა — მოგვირჩინეო. სალომე მაინც ძლიერ შეწუხებულია, ფურლვა ხომ მას ძლიერ უყვარს. მარტო შინდარჩენილი ფურლვასთან ერთობა, მას ეფერება, ამიტომ არც იყო გასაკვირი, იგი ფურლვას თუ არ მოშორდა. წუხელ იქ დარჩა. მიკვირს დღეს რად არ ჩამოვიდა.

ვინ იყო თამარ თვაური? პირადად არ მენახა, მაგრამ ვიცოდი ვეტექიმი იყო. დაახლოებით ორი თვე იქნებოდა, რაც ფერმაში გამოეგზავნათ. მას ყველა აქებდა. აქებდნენ, როგორც კარგ სპეციალისტს, აქებდნენ როგორც ლამაზ ქალიშვილს. ამ ქებამ, ვერ დავმალავ, მისი ნახვის ერთგვარი ინტერესიც კი აღძრა ჩემში, მაგრამ, მაინც მე ჩემი გულის დარდი მქონდა — ყველგან თან მდევდა ჩემი მაფრანა გოგონას სახე. ის იყო ჩემი ოცნება, ჩემი ნატვრა და წადილი. ესეც რომ არ იყოს, სად უნდა შევხვედროდი მას? მე მხოლოდ შაბათს ან კვირადღეს რამდენიმე საათით ჩავირბენდი დედის სანახავად და ისევ უკანვე ვბრუნდებოდი, ფერმა კი ჩვენი სოფლიდან კარგა მანძილზე იყო.

— ეტყობა, კაი გოგოა და კაი სახელიც აქვს! — ხშირად მეუბნებოდა ჯაჯლიაც. — წმინდა გიორგის მადლმა ნამდვილ ანგელოზია. ერთ ამბობენ, ბევრი ვაჟკაცის გულიც მოიხიბლია, მაგრამ თვითონ ახლოსაც არავის იკარებსო! არავინ იცის რაიღა აკრძალა! მე მგონია ვაჟკაცის გული არ დაუდევნის და ნამდვილად გაიტაცებს...

და აი, ახლაც ჯაჯლია სულ მის ქებაში იყო.

შინ რა გამაჩერებდა. დედა უნდა მენახა, თუნდაც ცა ნამსხვრევებად ჩამოქცეულიყო და ხევები ღვართქაფს აევსო.

მე და ჯაჯლიამ ფერმისაკენ გავსწიეთ.

ბილიკებზე სიარული უკვე საშიში იყო, მაგრამ მე და ჯაჯლია ცხენებს მინდობილნი შეუშინებლად გადავდიოდით იწროებს, ხევში ჩაბეზულ საცალფეხო ბილიკებს.

ჯაჯლია ხმას არ იღებდა.

ეს მაფიქრებდა: იქნებ დედა მძიმე ავადაა და ვერ მიმხელს-მეთქი.

ღრუბელი თითქოს მიწას შეეხო. მიწა სუნთქვაშეკრულივით ქოთქოთებდა. მთები თითქოს შესქელებული ჩრდილივით ზეაწეულნი ცას შავად შეერთებოდნენ.

ხევში, ფერდობებზე, მთის კალთებზე, აქა-იქ, შორი-შორს, მთა-მთა მისაქრობად და ყვითლად ბჟუტავდნენ ლამპები.

ცხენები ფეხდაუცდენლად მიცოცავდნენ აღმართ-ჩაღმართებზე.

...

ფერმის ეზოში შევედით.

ჯაჯლია ფერმის გამგის ოთახისაკენ წამიძღვა. ოთახის კარი ღია, არავინ იყო.

გვერდითი ოთახის კარი გაიღო, თეთრ ხალათში ნაცნობი სახე გამოჩნდა. დავაკვირდი. ისიც გაოცებული შემომაჩერდა. ვიცანი: ის იყო ჩემი გულის ცეცხლი და სიხარული, ჩემი მაფრანა გოგონა, ჩემი ტრფიალი...

სად ვეძებდი და სად ვიხილე?

სად ვეგულებოდი და სად მიხილა?

იმ ოთახიდან, საიდანაც მაფრანა გოგონა გამოვიდა, დედაჩემიც გამოჩნდა, მას მშვიდი და კმაყოფილი სახე ჰქონდა.

ჩვენს შეხვედრას თვალი რომ მოჰკრა, გაოცებით შემომხედა და მკითხა, ეს რას ნიშნავსო.

რა იცოდა დედამ ან ჯაჯლიამ (და ეს არც მე ვიცოდი) თამარ თვაური, რომელზედაც ბევრი ქება მომისმენია, სწორედ ჩემი მაფრანა გოგონა ყოფილა, რომელსაც ზოოვეტერინარული ინსტიტუტი წელს დაუმთავრებია და სამუშაოდ აქ, ჩვენს მხარეს გამოუგზავნიათ.

სად ვეძებდი და სად ვიხილე!

სად ვეგულებოდი და სად მიხილა!

მოულოდნელი შეხვედრით შეცნობილმა გრძნობამ ძალუმად იფეთქა: ეს იყო ჩადარდებული სიყვარული, მონატრული ხილვა, საოცნებო ბედნიერება. ამიტომ იყო, რომ არც მე და არც მას არაფრისათვის ანგარიში არ გაგვიწევია: სიჭაბუკემ და სიყვარულმა ჯერ განუცდელი სიხარულით ფრთები შეგვასხა, გაგვაგრძნობინა უტკბილესი ბედნიერება და ერთიმეორეს მხურვალედ გვიცნობდით.

— გაგაისი! — შემომაჩერდა ჯაჯლიას დამჭკნარი სახე. — გვეტყოდე, გაგვახარებდე... ეს ჩვენი საპატარძლო ხომ არ არის?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მერე საყვარელ ქალიშვილს შევხედე: ცეცხლოვანი ბურანი გაფანტულიყო. სახე ალეწოდა.

— ჩემო სიცოცხლევ! — წავჩურჩულე.

შემომხედა. შეკრთა. ეტყობოდა თავშეკავებულმა ქალმა მხოლოდ ახლა ჩაიფიქრა. შერცხვა.

თავი ჩაღუნა და გაქცევა სცადა. დედამ იგი გულში ჩაიხუტა.

— ახლა ორთავენი ჩემთვის ერთი სიცოცხლე ხართ, თქვენ კი დაგენაცვლეთ! — აღმოხდა მას.

ჯაჯლიამ წელზე ხელი შემომხვია და მითხრა:

— გაგაისი! გახსოვდეს პაპაისის სიტყვები — ოჯახი არ უნდა დაიქცესო... ოჯახის ჩირაღი უნდა იყო. შენაც გაიგონებდე გაგაისი, ისმენდე ჯაჯლიას ნათქვამსაც — თურმე ორთავენი ხალხის სიკეთის ქმნილებით: შენა ქალაქში, საპატარძლო კი აქა, ჩვენს მთაში.

დღეიდან ორთავენი ერთი სიცოცხლით გაიხარებდეთ. სიყვარულიც ამად გამოიყენეთ და ბედნიერი იქნებით!

ამ ნეტარ წუთებში ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, რომ ასე მგონია საყვარელ ქალიშვილთან ერთად მაღალ მწვერვალზე ავიჭრები და გულის ძგერას ყველას გავაგონებ:

— ჩემო ღვთისავარებო და ჯაჯლიებო, ჩემო მეგობრებო, უთქვენოდ ჩვენი ბედნიერება ვინა თქვა! ჩემო მშობლიურო მიწავ! ჩვენს ბედნიერებას მხოლოდ შენი თავისუფალი დღევანდელი აცოცხლებს, სხვა არაფერი... გჯეროდეს, ჩვენც ორთავენი შენი სიცოცხლის ცეცხლად აღვენთებით!

შენც ილიმები? კეთილი.

მეც მესიამოვნება შენი სიტყვები: როდესაც სიყვარული ორი ახალგაზრდის ერთ სიცოცხლედ იქცევა, ბედნიერებაც იქ იწყება.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 14, ტელეფონი — 3-47-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05452